კობა ამირხანაშვილი,
გიორგი ამირხანაშვილი

25 წელი დიაბეტიანი ბავშვების სამსახურში

(1991-2016)

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია

თბილისი
2016

წიგნი ეძღვნება საქართველოში პირველი არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაციის - დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის დაარსებიდან 25-ე წლისთავს. მისი სათაური „25 წელი დიაბეტიანი ბავშვების სამსახურში“ თავისთავად მიგვანიშნებს იმაზე, რომ მასში აღწერილია ასოციაციის განვლილი გზა 1991 წლიდან დღემდე.

ჩვენ შევეცადეთ ნაშრომში მოკლედ გადმოგვეცა ასოციაციის ისტორია ცალ-ცალკე თავების მიხედვით, რათა მკითხველისთვის უფრო გაგვემარტივებინა მთელი შინაარსის სრულყოფილად აღქმა.

მონოგრაფიაში უხვად არის წარმოდგენილი აგრეთვე ილუსტრირებული საარქივო ფოტო მასალა, რაც დაინტერესებულ პირებს დაეხმარება კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა იქონიონ ჩვენი ასოციაციის საქმიანობაზე.

ავტორები

რედაქტორი: პროფესორი **კობა ამირხანაშვილი**
საქართველოს დიაბეტიან ბავშვთა დაცვის
ასოციაციის პრეზიდენტი

მონოგრაფია დაიბეჭდა საქართველოს დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის მიერ.

© კ. ამირხანაშვილი, გ. ამირხანაშვილი – 25 წელი დიაბეტიანი ბავშვების სამსახურში. 2016
© K. Amirkhanashvili, G. Amirkhanashvili – 25 YEARS ON SERVICE OF CHILDREN WITH DIABETES. 2016

ISBN 978-9941-0-9341-8

სარჩევი

1. შესავალი 5

1.1. ზოგი რამ ისტორიიდან 6

1.2. ჯანდაცვის რეფორმა 8

2. დიაბეტიან ბავშვთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა 12

2.1. ინსულინის, ინსულინის ანალოგების, შპრიც-კალმისტრების, ნემსებისა და გლუკაგონის შენახვა და გაცემა 12

2.2. საანალიზო-ტექნიკური საშუალებების შენახვა, გაცემა და გლუკოზის თვითკონტროლი 13

2.3. პაციენტების ლაბორატორიული გამოკვლევები 14

2.4. თვალის გართულებათა მონიტორინგი 14

2.5. ტუბერკულოზის მონიტორინგი 15

2.6. დიაბეტური განათლების მიღება 16

2.7. დიაბეტიან ბავშვთა ნაციონალური რეგისტრის წარმოება 16

2.8. დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაციის პროგრამა 17

2.9. სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების ჩამონათვალი 17

3. დიაბეტური განათლება 19

3.1. დიაბეტური სკოლა 19

3.2. დიაბეტის სასწავლო ცენტრი 24

4. დიაბეტური ბანაკი 27

5. სპორტული კლუბი „რუბიკონი“ 30

6. დიაბეტიან ბავშვთა ცენტრი 34

6.1. სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა 40

6.2.სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნა 51

7. დიაბეტის მსოფლიო დღე 54

8. საზოგადოებრივი მოძრაობა — „ვიცხოვროთ დიაბეტთან ერთად“ 64

9. საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებში მონაწილეობა 65

10. დიაბეტი და კანონმდებლობა 85

11. ასოციაციის ოქროს სპონსორი – კომპანია „ნოვო ნორდისკი“ 94

12. ასოციაციის საპატიო წევრები 98

13. ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობები 102

14. ბოლო თქმის მაგიერ 109

1. შესავალი

მედიცინას ჯერჯერობით არ შეუძლია ადამიანის სიცოცხლის ხსნა ისეთი სნეულებებისაგან, როგორიც არის კიბო და შიდსი. ინსულინოთერაპიის შემოღებამდე დიაბეტიანი ადამიანიც სასიკვდილოდ იყო განწირული. საბედნიეროდ, თერაპიის ეს სახე დიაბეტიანს საშუალებას აძლევს ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნოს შრომის უნარი და არაფრით განსხვავდებოდეს ჯანმრთელისაგან. ინსულინი ყველა დროის მედიცინის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. ამჟამად მსოფლიოში ინსულინის დეფიციტი არ არის და თუნდაც ერთი ადამიანის დაღუპვა ინსულინის უქონლობის გამო, კაცობრიობის სირცხვილია.

დიაბეტი ქრონიკული სენია, რომლის საბოლოოდ განკურნება ჯერჯერობით შეუძლებელია. თანამედროვე დონის ინსულინოთერაპიით შეიძლება ავადმყოფთა სიცოცხლის შენარჩუნება და მათი შრომის უნარიანობის აღდგენა, მაგრამ ამ ორი საკითხის გადაწყვეტა ვერ ამოწურავს დიაბეტის მკურნალობის პრობლემას. შეიძლება ავადმყოფის სიცოცხლეს კონკრეტულ მომენტში არაფერი ემუქრებოდეს, დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და შრომის უნარი ჰქონდეს, მაგრამ სისხლში გლუკოზის მაღალი შემცველობა ზრდის გართულებათა განვითარების რისკს. ამიტომ, დიაბეტიანისთვის აუცილებელია მუდმივი სამედიცინო კონტროლი და მკურნალობა, რაც დიდად არის დამოკიდებული თავად ავადმყოფის შინაგან ფსიქოლოგიურ სიმტკიცეზე. დაუშვებელია ამ სენის ტრაგედიად აღქმა. მთავარია მასთან შეგუება და თვითკონტროლი, რადგან დიაბეტი ცხოვრების განსხვავებული და განსაკუთრებული წესია!

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ბავშვებში, რადგან ბავშვთა დიაბეტი მეტად თავისებურია. ეს განპირობებულია უპირველესად ასაკობრივი ფაქტორითა და თავად ავდმყოფობის გამოვლენის, მისი მიმდინარეობისა და მკურნალობის თავისებურებებით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, აგრეთვე საერთაშორისო სტანდარტებითა და ნორმებით დიაბეტიან ბავშვს, უპირველესად ყოვლისა, სასიცოცხლოდ ესაჭიროება ინსულინი და აუცილებლად მხოლოდ ადამიანის, საანალიზო-ტექნიკური საშუალებები (გლუკომეტრი თავისი ტესტ-სისტემებითა და სისხლის ასაღები ლანცეტით), შარდში გლუკოზისა და კეტოსხეულების (აცეტონის) განსასაზღვრი ტესტები, აუცილებელი კალორაჟის საკვები პროდუქტები და შესაბამისი განათლება (მცირე ასაკის შემთხვევაში მშობლების), რაც იძლევა იმის პირობას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებების ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში, დიაბეტიანი ბავშვი (მოზარდი) ნორმალურად განვითარდება და ის საბოლოო ჯამში საზოგადოების აქტიურ, სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბდება.

1.1. ზოგი რამ ისტორიიდან

ზემოთ აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე 1991 წლის მაისში, დავაარსეთ საქართველოში პირველი დიაბეტური არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაცია, „დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია“, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ამ კატეგორიის ბავშვების მედიკამენტებითა და საანალიზო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, დიაბეტური განათლების მიცემა და მათი სოციალური რეაბილიტაცია.

კობა და გიორგი
1990 წელი

ასოციაციის დაფუძნება მოხდა ქვეყანაში შექმნილი რთული სიტუაციის გამო. მოგეხსენებათ, რომ 1991 წ. იყო ის წელი, როდესაც გამოკვეთილად ჩანდა ყოფილი სსრკ-ს დაშლის კონტურები, რაც უდავოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა საერთოდ ჯანმრთელობის დაცვის სისტემას, (იმ დროს საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების მედიკამენტებით უზრუნველყოფა ხდებოდა მოსკოვიდან ცენტრალიზებული წესით და მათ შორის ინსულინითაც.)

აქედან გამომდინარე, გარდამავალი პერიოდისთვის, საჭირო იყო ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც უშუალოდ ჩაერთვებოდა დიაბეტიანთა (ამ შემთხვევაში ბავშვების) ინსულინით უზრუნველყოფაში და იმავდროულად დაიცავდა მათ უფლებებს.

როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, დაიშალა სსრკ და საქართველო დარჩა





მედიკამენტების გარეშე. ამას დაემატა ჩვენთან მიმდინარე პროცესები (1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენები, საომარი მოქმედებები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში), რამაც ძირეულად დაანგრია ჯანდაცვის სისტემა, ამან უპირველესად ყოვლისა ის პაციენტები ჩააყენა უმძიმეს მდგომარეობაში, რომლებიც მუდმივ ჩანაცვლებით თერაპიულ მკურნალობას საჭიროებდნენ და მედიკამენტებს სახელმწიფოსგან ღებულობდნენ.

ასეთ ავადმყოფთა შორის ყველაზე მეტი საქართველოში ინსულინდამოკიდებული დიაბეტიანი იყო, რომელთა რაოდენობა (იმჟამინდელი მონაცემებით) 40 ათასს აჭარბებდა. არსებულ სიტუაციას განსაკუთრებით ამძიმებდა დიაბეტიანი ბავშვების მდგომარეობა, (14 წლამდე ასაკის 300-ზე მეტი ბავშვი), რომლებიც 1990 წლიდან უკვე იმ დროისათვის მსოფლიოში უახლესი ტექნოლოგიით დამზადებულ დანიური ფირმა „ნოვო-ნორდისკის" წარმოების U 100 ერთეულიან ადამიანის ინსულინს იყენებდნენ, რომელიც სპეციალური შპრიც-კალმისტრებით კეთდება და საკმაოდ ძვირად-ღირებულია, ხოლო ამ ინსულინის შეცვლა ექიმების აზრით არარეკომენდირებული იყო.

ამ პრობლემების მოგვარებით დაიწყო ასოციაციამ თავისი აქტიური საქმიანობა.

ჯერ კიდევ 1991 წ., ასოციაციამ დააყენა მაშინდელი ხელისუფლების წინაშე წინადადება, რათა მთავრობას მიეღო სპეციალური დადგენილობა საქართველოში მცხოვრები დიაბეტიანი ბავშვების ინსულინით უზრუნველყოფის შესახებ.

სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ხელისუფლებამ ვერ მიიღო ასოციაციის ეს წინადადება. ამიტომ, ვერ მოხერხდა არა მარტო ბავშვების, არამედ მოზრდილთა ინსულინის შესყიდვა, რაც ათიათასობით დიაბეტიანის დაღუპვას ნიშნავდა.

აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონი ედუარდ შევარდნაძის როლი, რომელმაც 1992 წლის მარტში თბილისში დაბრუნებისთანავე ასოციაციის თხოვნით მიმართა აშშ-ის მთავრობას, ხოლო მოგვიანებით საქართველოში ვიზიტად მყოფ აშშ სახელმწიფო მდივანს ჯ. ბეიკერს, დახმარებოდნენ საქართველოს მოსახლეობას ინსულინით. ამ პროგრამით 1992-94 წწ. საქართველომ აშშ-დან მიიღო ჰუმანიტარული წესით გამოგზავნილი 15 მილიონამდე აშშ დოლარის ღირებულების ინსულინი „ჰუმულინი", რითაც ათიათა-

სობით ადამიანის სიცოცხლე გადარჩენილი იქნა, თუმცა ეს მაინც არ იყო ის ინსულინი, რომელთანაც ბავშვები იყვნენ ადაპტირებული (კალმისტრის ინსულინი, ე.წ. პენფილები).

მიუხედავად უამრავი უცხოური ორგანიზაციების დაპირებებისა, ვერ მოხერხდა ბავშვებისთვის ინსულინის შემოტანა, რაც საკმაოდ მძიმე სიტუაციას უქმნიდა მათ.

აღნიშნული პრობლემა გადაჭრილი იქნა იმ ქველმოქმედების ხარჯზე, რაც 1993 წელს დიაბეტიან ბავშვებს გაუწია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ, რომელმაც პირადად ჩვენი თხოვნის შედეგად 70 ათასი აშშ დოლარის ინსულინი შეუსყიდა ასოციაციას და პრაქტიკულად შეავსო ის დეფიციტი, რომელიც გაჩნდა არსებულ მარაგსა და საქართველოსთვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილი კრედიტით 1994 წელს შეძენილ ინსულინს შორის.

პრაქტიკულად, 1990-95 წწ. დიაბეტიან ბავშვებს მედიკამენტების პრობლემა არ ჰქონიათ, ხოლო, თუ ამას დავუმატებთ ამავე წლებში მიღებულ ასიათასობით აშშ დოლარის ღირებულების ჰუმანიტარულ საკვებ პროდუქტებსაც, რასაც ასოციაციის წევრებს უგზავნიდნენ სხვადასხვა უცხოური სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა ბავშვებმა და მათმა მშობლებმა ასოციაციის მეშვეობით ეს უმძიმესი პერიოდი უმტკივნეულოდ გადაიტანეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ ასოციაციის შექმნის იდეამ სავსებით გაამართლა და არ იქნება ასევე გადაჭარბებული შეფასება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი ძალისხმევითა და უშუალოდ მონაწილეობით ასობით დიაბეტიან ბავშვსა და მოზარდს სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

1.2. ჯანდაცვის რეფორმა

როგორც ცნობილია 1995 წლის აგვისტოში საქართველოში დაიწყო მთლიანი სახელმწიფო ჯანდაცვის სექტორის რეფორმა. სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ე.წ. „რეფორმირებულ“ ბიუჯეტიდან სრულიად უსაფუძვლოდ ამოიღო დიაბეტიან ბავშვთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა და ამ გადაწყვეტილებით დიაბეტიან ბავშვებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ასოციაციის პრეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად პროგრამა სპეციალურად დამატებით იქნა შეყვანილი სახელმწიფო ბიუჯეტში, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა უშუალოდ მაშინდელმა სახელმწიფო მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

ამის შემდეგ დიაბეტიანი ბავშვებისთვის დაიწყო ახალი პერიოდი. 1996 წელს ახლადარჩეულმა საქართველოს პარლამენტმა, ჯანდაცვის სამინისტროს წარდგინებით დაამტკიცა ბიუჯეტი, სადაც პირველად იყო გათვალისწინებული დიაბეტიანი ბავშვების სახელმწიფო პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში ჯანდაცვის სამინისტრომ შეიძინა და ასოციაციას გადასცა საჭირო რაოდენობის ინსულინი, შპრიც-კალმისტრები და ნემსები.

1997 წ. ჯანდაცვის სამინისტროში, საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გამსვლელ სხდომაზე, ექსპერიმენტის სახით გაფორმდა ხელშეკრულება სამინისტროსა და ასოციაციას შორის სახელმწიფო პროგრამის შესრულების თაობაზე. ეს იყო პირველი და უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის შესრულება უშუალოდ დაევალა არასამთავრობო ორგანიზაციას.

პროგრამის ფარგლებში ასოციაციამ შეიძინა აუცილებელი რადენობის ინსულინი, შპრიც-კალმისტრები და ნემსები, ოფთალმოლოგიური არგონ-ლაზერი თავისი დამხმარე მოწყობილობებით, ავტომატური რეფრაქტოკერატომეტრი და ულტრაბგერითი აპარატი (ბიომეტრი).

გარდა ზემოთაღნიშნული პროგრამისა ასოციაციასა და საქართველოს ინვალიდების სახელმწიფო დეპარტამენტს შორის დადებული ხელშეკრულებით დეპარტამენტმა შეიძინა და ასოციაციას გადასცა ოთხასზე მეტი გლუკომეტრი, სისხლში და შარდში გლუკოზის საანალიზო ტესტ-ჩხირები, სისხლში გლიკოზირებული ჰემოგლობინის გამზომი ანალიზატორი DCA 2000 და თვალის ფსკერის გადასაღები ფუნდუს კამერა, რომელიც იმ დროს ერთადერთი იყო მთელ საქართველოში.

ასოციაციის მიერ სახელმწიფო პროგრამის შესრულებით ყოველწლიურად გამონთავისუფლდა ასიათასობით ლარი, რამაც მისცა ჯანდაცვის სამინისტროს საშუალება დაეკმაყოფილებინა ასოციაციის მოთხოვნა და პროგრამაში მონაწილე ბავშვთა ასაკი გაზარდა ჯერ 16, ხოლო შემდეგ 18 წლამდე, რასაც ითვალისწინებდა გაეროს ბავშთა კონვენცია. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შესყიდული ინსულინის რაოდენობა არ გაზრდილა რაც განპირობებული იყო პროგრამის ოპტიმალური მართვითა და სწორი მენეჯმენტით.

ამავე წლებში ასოციაციის მიერ თსსუ პედიატრიულ კლინიკის ენდოკრინოლოგიურ განყოფილებაში და

ქუთაისის რეგიონულ ოფისში მოწყობილ და აღჭურვილ იქნა სპეციალური ლაბორატორიები, რითაც ბავშვებს მიეცათ საშუალება ჩაიტარებინათ ყველა ის აუცილებელი გამოკვლევები, რომელთაც ხშირ შემთხვევაში დიაბეტიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

1999 წლიდან დიაბეტიან ბავშვთა სახელმწიფო პროგრამა გადავიდა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიაში. ამ კომპანიის ხელმძღვანელთა ხელშეწყობით ყოველწლიურად წლის დასაწყისშივე ხდებოდა პროგრამის დაფინანსება, რითაც ასოციაციას ეძლეოდა საშუალება დროულად შეეძინა ინსულინი, შპრიც-კალმისტრები, ნემსები, გლუკომეტრები, სისხლის და შარდის ტესტ-სისტემები.

გარდა ზემოთთქმულისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1996 წლიდან ასოციაციაში შეიქმნა რესპუბლიკაში მცხოვრები დიაბეტიანი ბავშვების მონაცემთა ბაზა – დიაბეტის ნაციონალური რეგისტრი, რომელიც თავისი შესაძლებლობითა და ინფორმაციის სრულყოფით, საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით უნიკალურია. აღნიშნული ბაზა საშუალებას იძლევა მივიღოთ არა მარტო ამომწურავი ინფორმაცია პაციენტის მკურნალობის შესახებ წლების მიხედვით, არამედ, იგი გვაძლევს საშუალებას საჭიროების შემთხვევაში კომპიუტერული ქსელით გაიგზავნოს ინფორმაცია საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებში საკონსულტაციოდ (მათ შორის რეტინოპათიის შემთხვევაში თვალის ფსკერის ფოტოსურათებიც). რეგისტრის შექმნამ მოგვცა საშუალება მოგვეხდინა ინსულინის მოხმარების ოპტიმიზაცია.

ასოციაციის ასეთი წარმატებები შეუმჩნეველი არ დარჩენია საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და პირველად საქართველოს ისტორიაში არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები დააჯილდოვა ორდენებითა და მედლებით. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წ. 17 მარტის №219 განკარგულებით საქართველოში დიაბეტიან ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობაში, ნაყოფიერი საქველმოქმედო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის წევრები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით და გამოეცხადათ მადლობა:

ღირსების ორდენით

კობა ამირხანაშვილი – ასოციაციის პრეზიდენტი, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის და ევროპის ასოციაციის წევრი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ღირსების მედლით:

თეიმურაზ ვარდოსანიძე – ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;

ზურაბ სეხნიაშვილი – მედიცინის მეცნ. კანდიდატი, ბავშვთა რესპუბლიკური ენდოკრინოლოგიური ცენტრის დირექტორი, პროფესორი

გამოეცხადათ პრეზიდენტის მადლობა:

თინათინ ჩანტლაძეს, ექიმ-ენდოკრინოლოგს;

მარინა გორდელაძეს, ექიმ-ენდოკრინოლოგს, მედიცინის მეცნ. კანდიდატს, დოცენტს;

ლამზირა კომშიაშვილს, ექიმ-ენდოკრინოლოგს;

თამილა ლაფანაშვილს, ექიმ-ენდოკრინოლოგს;

ეკა ცხადაძეს, ექიმ-პედიატრს;

სვეტლანა კარგიევას, ბიოლოგ-ლაბორანტს.



დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

2001 წლის 17 მარტი ქ. თბილისი

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის წევრთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ

საქართველოში დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობაში, მათი ინსულინით უზრუნველყოფაში შეტანილი თვალსაჩინო წელილისათვის, ნაყოფიერი საქველმოქმედო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაცია – დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის წევრები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით და გამოეცხადოთ მადლობა:

ორდენით:

კობა ამირხანაშვილი – ასოციაციის პრეზიდენტი, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის და ევროპის ასოციაციის წევრი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მედლით:

თეიმურაზ ვარდოსანიძე – ასოციაციის ეიცე-პრეზიდენტი;
ზურაბ სეხნიაშვილი – ბავშვთა რესპუბლიკური ენდოკრინოლოგიური ცენტრის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი.

გამოეცხადოთ მადლობა:

მარინა გორდელაძეს – ექიმ-ენდოკრინოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს;
სვეტლანა კარგიევას – ბიოლოგ-ლაბორანტს;
ლამზირა კომშიაშვილს – ექიმ-ენდოკრინოლოგს;
თამილა ლაფანაშვილს – ექიმ-ენდოკრინოლოგს;
თინათინ ჩანტლაძეს – ექიმ-ენდოკრინოლოგს;
ეკა ცხადაძეს – ექიმ-პედიატრს.

ე. შევარდნაძე.

2. დიაბეტიან ბავშვთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა

1997 წელს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტის ინიციატივას და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში ცალკე მუხლად გამოყო „დიაბეტიან ბავშვთა მკურნალობის პროგრამა“. გარდა ამისა სახელმწიფო ბიუჯეტში სპეციალური ჩანაწერით, პროგრამის შესრულება დაევალა „დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციას”, რითაც მან დაარღვია მანამდე არსებული სტერეოტიპი და ასეთი საპასუხისმგებლო პროგრამის განხორციელება მიანდო საქართველოში პირველ არასამთავრობო ორგანიზაციას. ამ ისტორიული გადაწყვეტილებით დიაბეტიანი ბავშვების ცხოვრებაში დაიწყო სრულიად ახალი ერა, რაც მათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკურნალობას და სრულფასოვან რეაბილიტაციას მოიცავდა.

2.1. ინსულინის, ინსულინის ანალოგების, შპრიც-კალმისტრების, ნემსებისა და გლუკაგონის შენახვა და გაცემა

პროგრამით განსაზღვრულია საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მიერ შეძენილი დანიური კომპანია „ნოვო ნორდისკის” წარმოების ინსულინების, ინსულინის ანალოგების, გლუკაგონის, შპრიც-კალმისტებისა და ნემსების შენახვა — დარიგება.

აღნიშნული ინსულინები და ინსულინის ანალოგები ინახება სპეციალურ სამაცივრო დანადგარში აუცილებელი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით (5-8 C°). ინსულინის, ინსულინის ანალოგებისა და გლუკაგონის გაცემა ხდება ასოციაციის ოფისიდან. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც პაციენტის მშობელს არ შეუძლია ოფისში მისვლა, ზემოთაღნიშნული მედიკამენტები პაციენტებს მიეწოდებათ ოფისის თანამშრომლების მიერ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

0-18 წწ. ასაკის პაციენტები იღებენ ინსულინს და ინსულინის ანალოგებს პენფილებში. ასეთივე მომსახურების პაკეტით სარგებლობენ:

ა) 18 წელს გადაცილებული ის დიაბეტიანი მოზარდები, რომლებსაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (ან არიან უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებლარული დამბლა და უშაქრო დიაბეტი

ბ) ასოციაციის მიერ განხორციელებული ინტეგრაციის პროგრამაში ჩართული პაციენტები.

ა) და ბ) პუნქტებში ჩამოთვლილი პაციენტების ასაკი არ არის შემოსაზღვრული და იგი ვრცელდება მხოლოდ ასოციაციაში რეგისტრირებულ პაციენტებზე.

2.2. საანალიზო-ტექნიკური საშუალებების შენახვა, გაცემა და გლუკოზის თვითკონტროლი

გლუკოზის თვითკონტროლი სისხლში ხორციელდება ფირმა „როშეს" ულტრათანამედროვე „ACCU-CHEK"-ს მოდელის გლუკომეტრებით. ასოციაციის წევრები აღჭურვილი არიან აგრეთვე შესაბამისი ტესტ-ჩხირებით, შარდში გლუკოზისა და კეტონური სხეულების საანალიზო ჩხირებით და სისხლის ასაღები ლანცეტებით. ამავე მომსახურებით სარგებლობენ: ა) 18 წელს გადაცილებული ის დიაბეტიანი მოზარდები, რომლებსაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (ან არიან უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებლარული დამბლა და უშაქრო დიაბეტი; ბ) ასოციაციის მიერ განხორციელებული ინტეგრაციის პროგრამაში ჩართული პაციენტები.

2.2. -ის ა) და ბ) პუნქტებში ჩამოთვლილი პაციენტების ასაკი არ არის შემოსაზღვრული და იგი ვრცელდება მხოლოდ ასოციაციაში რეგისტრირებულ პაციენტებზე.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც პაციენტებს არ შეუძლიათ ოფისში მისვლა, ზემოთაღნიშნული მედიკამენტები მათ მიეწოდებათ ოფისის თანამშრომლების მიერ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

ტესტ-ჩხირები (შეზღუდული რაოდენობით) გაიცემა აგრეთვე იმ პაციენტებზე (18-25 წწ.), რომლებიც გადიან სარეაბილიტაციო პროგრამას.

2.3. პაციენტების ლაბორატორიული გამოკვლევები

იმის გათვალისწინებით, რომ დიაბეტით დაავადებულ ბავშვებში, განსაკუთრებით ავადობის გამოვლენის საწყის სტადიაზე, დიაბეტი მიმდინარეობს ლაბილურად (ხშირია დეკომპენსაციისა და სუბკომპენსაციის შემთხვევები, რაც თავისთავად იწვევს დიაბეტის გართულებებს), პროგრამით გათვალისწინებულია გლიკოზირებული ჰემოგლობინის (HbA1c) ანალიზის ჩატარება კვარტალში ერთხელ. აღნიშნული გამოკვლევები უტარდებათ 0-18 წწ. ბავშვებს და პუნქტ 2.2. -ის ა) და ბ) კატეგორიის პაციენტებს. ზემოთაღნიშნული გამოკვლევები საჭიროების შემთხვევაში უტარდებათ აგრეთვე რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ 18-25 წწ. ასაკის პაციენტებსაც.



2.4. თვალის გართულებათა მონიტორინგი

შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვალის გართულებათა მონიტორინგს. პროგრამა მოიცავს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა ამბულატორიულ გამოკვლევებს. კერძოდ, ისაზღვრება მხედველობის სიმახვილე, ტარდება რეფრაქტომეტრია, ექობიომეტრია და თვალის ფსკერის დათვალიერება „ფუნდუს კამერით“.

რეტინოპატიის შემთხვევაში ხდება არგონლაზერით თვალის ფსკერის კოაგულაცია, ხოლო დიაბეტური კატარაქტის შემთხვევებში კეთდება შესაბამისი ოპერაციები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციები და მომსახურება პაციენტებისათვის უფასოა და ფინანსდება ასოციაციის მიერ ქველმოქმედების სახით.

2.5. ტუბერკულოზის მონიტორინგი

ვინაიდან ასოციაციის მეურვეობის ქვეშ მყოფი კონტინგენტი წარმოადგენს მაღალი რისკის ჯგუფს ტუბერკულოზით ინფიცირების თვალსაზრისით, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების ნაციონალურ ცენტრში წელიწადში ერთხელ ყველა პაციენს უკეთდება „მანტუს" სინჯი. საეჭვო პაციენტები შემდგომ მკურნალობას გადიან ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამით. ტუბერკულოზის გართულებათა მონიტორინგს ასოციაციის მხრიდან ახორციელებს სპეციალურად მოწვეული ექიმი პტიზიატრი.

2.6. დიაბეტური განათლების მიღება

დიაბეტით დაავადებულთათვის, მათი მშობლებისა ოჯახის წევრებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დიაბეტური განათლების მიღებას. ამ მიზნით ასოციაციის მიერ გახსნილია და ფუნქციონირებს დიაბეტური სკოლები თბილისში (თსსუ პედიატრიული კლინიკის ენდოკრინოლოგიურ განყოფილებაში და ბავშვთა „ახალ კლინიკაში", აგრეთვე ასოციაციის ოფისში). სკოლებში მეცადინეობების ციკლებს ატარებენ წამყვანი სპეციალისტები. აღნიშნულ სკოლებში მიღებული დიაბეტური განათლება საშუალებას იძლევა მოხდეს ავადმყოფების მიერ მოხმარებული ინსულინის რაოდენობის ოპტიმიზაცია და მათთვის განსაკუთრებული ცხოვრების წესის შემუშავება, აგრეთვე ბავშვებში მეტად გახშირებული ჰიპოგლიკემიური კომების დროს ოჯახის წევრებისა და ახლობლების მიერ პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა. ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებულ დიაბეტურ სკოლას ემსახურება ასოციაციის ექიმი.

დიაბეტური სკოლების სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის, ასოციაცია პროგრამის გარდა ახორციელებს თანამედროვე სამეცნიერო, სასწავლო და პოპულარული ლიტერატურის გამოცემას, თარგმნას და შეძენას. ზოგიერთ შემთხვევებში ხდება აგრეთვე ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის სამახსოვროების, ბუკლეტებისა და ბროშურების დაბეჭდვა-დარიგება, სარეაბილიტაციო და საინფორმაციო ბანერების, რადიო და სატელევიზიო სოციალური რეკლამების მომზადება და განთავსება.

იმის გათვალისწინებით, რომ დიაბეტიან ბავშვთა მკურნალობის და მათი სოციალური რეაბილიტაციისთვის აუცილებელია შენარჩუნებული იქნას მკურნალობის თანამედროვე სტანდარტები, საჭიროა პროგრამის შემსრულებელი სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება და მათი მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებში.

2.7. დიაბეტიან ბავშვთა ნაციონალური რეგისტრის წარმოება

ყველა მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობასთან, ინსულინის დოზირებასთან, ავადმყოფობის მიმდინარეობის დროს ყოველგვარ გართულებებთან, შემდგომში სტატისტიკურად მუშავდება და ინახება დიაბეტიან ბავშვთა ნაციონალურ რეგისტრში. რეგისტრის წარმოება მიმდინარეობს 1994 წლიდან და მისი განახლება ატარებს უწყვეტ ხასიათს.

2.8. დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაციის პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს დიაბეტიანი ბავშვებისა და მოზარდების სპორტულ-გამა-ჯანსაღებელ და ფსიქო-სოციალურ სპეციალურ მომზადებას. სარეაბილიტაციო პროგრამა ითვალისწინებს დიაბეტიანი ბავშვების ადაპტაციას ფიზიკური დატვირთვების დროს (გლიკემიის კონტროლი ფიზიკურ დატვირთვამდე, დატვირთვის დროს და დატვირთვის შემდეგ). ამას გარდა ხდება თითოეული მათგანისათვის ფიზიკური დატვირთვის ინდივიდუალური სქემების დამუშავება.

2.9. სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების ჩამონათვალი

პროგრამით განსაზღვრულია შემდეგი დასახელების ინსულინების, ინსულინების ანალოგების, გლუკაგონის, შპრიც-კალმისტრების, ნემსებისა და საანალიზო-ტექნიკური საშუალებების შენახვა-დარიგება:

- აქტრაპიდი (ხანმოკლე მოქმედების ადამიანის ინსულინი, Actrapid HM penfill 100 IU/ml, 3.0x5 cartridges)
- ინსულატარდი (გახანგრძლივებული მოქმედების ადამიანის ინსულინი, Insulatard HM penfill 100 IU/ml, 3.0x5 cartridges)
- ლევემირი (ულტრაგახანგრძლივებული მოქმედების ადამიანის ინსულინის ანალოგი Levemir HM penfill 100 IU/ml, 3.0x5 cartridges)
- ნოვორაპიდი (ულტრახანმოკლე მოქმედების ადამიანის ინსულინის ანალოგი NovoRapid HM penfill 100 IU/ml, 3.0x5 cartridges)
- გლუკაგონი

- ინსულინის საბავშვო შპრიც-კალმისტარი 0.5 ერთ.ბიჯით (სხვადასხვა შეფერილობის)
- შპრიც-კალმისტრის ნემსი (NovoFine 100 30G 8 mm)
- შპრიც-კალმისტრის ნემსი (NovoFine 100 31G 6 mm)
- სისხლში გლუკოზის განმსაზღვრელი აპარატი, გლუკომეტრი
- სისხლში გლუკოზის განმსაზღვრელი აპარატის, გლუკომეტრის ტესტ-ჩხირი
- სისხლის წვეთის ასაღები ხელსაწყო
- სისხლის წვეთის ასაღები ხელსაწყოს ლანცეტი
- შარდში გლუკოზისა და კეტონური სხეულების განმსაზღვრელი ტესტ-ჩხირები

3. დიაბეტური განათლება

იმისათვის რომ დიაბეტის კომპენსირება მოვახდინოთ, აუცილებელ მედიკამენტებთან და საანალიზო-ტექნიკურ საშუალებებთან ერთად დიაბეტიანი პაციენტებისთვის (მათი მშობლებისთვის) გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს დიაბეტური განათლება.

3.1. დიაბეტური სკოლა

დიაბეტიანი ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის თსსუ-ის პედიატრიული კლინიკის ენდოკრინოლოგიურ ცენტრში, 1997 წელს ასოციაციამ გახსნა საქართველოში პირველი „დიაბეტური სკოლა“. სწავლება ტარდებოდა სპეციალური პროგრამით ხუთი დღის განმავლობაში. სასწავლო პროგრამა მოიცავდა თემებს, რომლებიც ეხებოდა: შაქრიანი დიაბეტის ეტიო-პათოგენეზს, დიეტოთერაპიას, ინსულინოთერაპიას, ექსტრემალურ მდგომარეობებს და ფიზიკური დატვირთვის როლს შაქრიანი დიაბეტის დროს. სკოლა აღჭურვილი იყო აუცილებელი თვალსაჩინო საშუალებებით, სათანადო ლიტერატურით, გლუკომეტრებით და ტესტ-ჩხირებით, გლიკემიის, გლუკოზურიისა და აცეტონის ვიზუალური კონტროლის საშუალებებით. ბავშვებისა და მშობლების სწავლება მიმდინარეობდა, როგორც მათი სტაციონარში ყოფნის დროს, ისე მის გარეშეც. თითოეულ მსმენელს გადაეცემოდა „დიაბეტური სკოლის“ პროგრამით გათვალისწინებული მასალა, ქართულ და რუსულ ენებზე, რომელიც მოიცავდა ინსულინების მოქმედების სქემას, დიეტოთერაპიის პრინციპებს შაქრიანი დიაბეტის დროს (პურის ერთეულზე მოთხოვნილება ასაკის მიხედვით) და პროდუქტთა ექვივალენტური შენაცვლების სქემას. სკოლის მსმენელები აგრეთვე იღებდნენ საკვები პროდუქტების სანიმუშო სადღეღამისო ნაკრების ჩამონათვალს ასაკის მიხედვით (1300-დან 2500 კკალ-მდე).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მხოლოდ დიაბეტური სკოლის გავლის შემდეგ მიეცემა მშობელს (მეურვეს) პრეპარატი „გლუკაგონი“, რასაც მძიმე ჰიპოგლიკემიური კომის დროს დიაბეტიანებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ პრეპარატის დახმარებით ჩვენ შევძელით ათეულობით ბავშვის სიცოცხლის გადარჩენა, განსაკუთრებით კი იმ პაციენტებისა, რომლებიც ცხოვრობენ მაღალმთიან რეგიონებში და რომელთა გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება განსაკუთრებით გართულებულია ზამთრის პერიოდში. სწავლის დასრულების შემდეგ, ტესტირების შედეგად, მსმენელები იღებენ სპეციალურ მოწმობას, რაც ადასტურებს მათ აუცილებელ მომზადებას დიაბეტის მართვის კუთხით.

იმის გათვალისწინებით, რომ ავტორიზებულ კლინიკებში დიაბეტიან ბავშვებს წელიწადში ერთხელ შეუძლიათ უფასოდ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაიარონ ერთკვირიანი სტაციონალური მკურნალობა, ჩვენ მშობლებსა და პაციენტებს დამატებით ეძლევათ

შესაძლებლობა მოახდინონ თავისი დიაბეტური განათლების სრულყოფა, რადგან დიაბეტის სწავლა უწყვეტი პროცესია და ის მოითხოვს მუდმივ განახლებას.

თსსუ-ის პედიატრიული კლინიკის „რეორგანიზაციის“ შედეგად გაუქმდა საქართველოში ერთადერთი ბავშვთა ენდოკრინოლოგიური განყოფილება და მასთან ერთად ჩვენს მიერ დაარსებული დიაბეტის სკოლაც.

ასოციაციის მოთხოვნით ენდოკრინოლოგიური მიმართულება გადავიდა ი.ციციშვილის სახ. ბავშვთა „ახალ კლინიკაში“, სადაც ადმინისტრაციის ხელ შეწყობით ამოქმედდა დიბეტის სკოლა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ 2015 წელს თსსუ-ის პედიატრიულ კლინიკაში ფუნქციონირება დაიწყო ენდოკრინოლოგიურმა განყოფილებამ და ასოციაციის ხელშეწყობით მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ხელახლა გაიხსნა დიაბეტის სკოლა.

ამ კლინიკაში ბავშთა ენდოკრინოლოგიური სტაციონარის გახსნით აღსდგა ისტორიული სამართლიანობა და დაუბრუნდა მას ის განყოფილება, სადაც თავისი არსებობის მრავალი ათწლეულის მანძილზე იმკურნალა და სიცოცხლე შეინარჩუნა ათასობით დიაბეტიანმა ბავშვმა და მოზარდმა.

1999 წელს ქ. ბათუმში კლინიკა „პარა ცელსის“ შენობაში გაიხსნა დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის ოფისი. მასში ფუნქციონირებდა დიაგნოსტიკური ლაბორატორია და დიაბეტის სკოლა.

ასეთივე რეგიონული ოფისი, თავისი ლაბორატორიითა და დიაბეტის სკოლით, გაიხსნა 1999 წელს ქ. ქუთაისში, რომელიც, ისე როგორც აჭარის ოფისი ფუნქციონირებდა 2006 წლამდე. ზემოთაღნიშნულ ცენტრებში პაციენტებს გამოკვლევებისა და დიაბეტური განათლების გარდა ადგილზე ეძლეოდათ, როგორც ინსულინები, ასევე შპრიც-კალმისტრები, ნემსები, გლუკაგენი, გლუკომეტრები და სისხლისა და შარდის საანალიზო ტესტ-ჩხირები. მედიკამენტების გაცემის ასეთი სისტემა მეტად მოხერხებული იყო, როგორც მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებ პაციენტებისთვის, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. სამწუხაროდ 2006 წელს ჯანდაცვის სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობის უგუნური გადაწყვეტილებით ასოციაციას აეკრძალა მედიკამენტების რაგიონული ოფისებიდან გაცემა, რამაც საბოლოოდ მათი დახურვა გამოიწვია.

1997-2016 წწ. „დიაბეტური სკოლა“ რამდენიმე ათასმა მსმენელმა გაიარა, რომელთა შორის იყვნენ როგორც დიაბეტიანი ბავშვები და მათი მშობლები, ასევე მათი ოჯახის წევრები, მეურვეები, სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ექიმები და მედდები.

HYPOGLYKEMI

დიაბეტური
სკოლა
ოფისი
ORGANIZATION

DOCTOR

3.2. დიაბეტის სასწავლო ცენტრი

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის ბაზაზე, კომპანია „ნოვო-ნორდისკის“ ხელშეწყობით 2001 წელს დაარსდა „დიაბეტის სასწავლო ცენტრი“. ცენტრის სასწავლო პროგრამები განკუთვნილია სხვადასხვა პროფილის ექიმებისთვის, ექთნებისთვის, დიაბეტიანი პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. პროგრამა ეფუძნება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მეთოდურ რეკომენდაციებს, დანიის „სტენოს“ ექიმთა გადამზადებისა და განათლების საერთაშორისო ცენტრისა და კომპანია „ნოვო-ნორდისკის“ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის დიაბეტის სასწავლო ცენტრის სასწავლო პროგრამებს, EASD და IDF-ის რეკომენდაციებს. სწავლებისას ასევე გამოყენებულია საკუთარ მასალები, რომელიც ემყარება დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის მიერ შექმნილ დიაბეტის ნაციონალურ რეგისტრს, რომლის ფუნქციონირების პრაქტიკაში გამოცდით დადასტურდა, რომ მისი დახმარებით შესაძლებელია მულტიპარამეტრული ეპიდემიოლოგიური ანალიზის ჩატარება, რაც აუცილებელია დიაბეტთან დაკავშირებული სამედიცინო, პროფესიული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ოპტიმალური განაწილებისა და ქვეყნის მასშტაბით, დიაბეტოლოგიური სამსახურის განვითარების პერსპექტიული გეგმების შემუშავებისთვის. პროგრამის მიზანია გააცნოს მსმენელს დიაბეტოლოგიის თანამედროვე აქტუალური პრობლემები. სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ სალექციო მასალას:

- შაქრიანი დიაბეტის ისტორია, კლასიფიკაცია, ეტიო-პათოგენეზი, სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები, მკურნალობისა და რეაბილიტაციის თანამედროვე მეთოდები.
- შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1, ინსულინოთერაპიის ტრადიციული და თანამედროვე სქემების სწავლება.
- შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, მონო- და კომბინირებული ინსულინოთერაპიის თანამედროვე ასპექტების სწავლება.
- ინსულინის ანალოგებისა და ინსულინოთერაპიის მომავალი პერსპექტივების გაცნობა. დიაბეტური გართულებების არსი და მათი პრევენცია.
- საქართველოში დიაბეტოლოგიური დახმარების ორგანიზაციის და განვითარების პერსპექტივების გაცნობა. დიაბეტის მედიკო-სოციალური ასპექტები, კანონმდებლობა.

პროგრამის ხანგრძლივობაა 5 დღე. სადემონსტაციოდ გამოყენებულია სხვადასხვა ფირმის ინსულინის პრეპარატების ფართო სპექტრი, ინსულინის შეყვანის სისტემები (სხვადასხვა

თაობის ინსულინის კალმისტრები), სისხლში გლუკოზის განსაზღვრის საანალიზო საშუალებები, შარდში გლუკოზის, კეტო-სხეულების, მიკროალბუმინურიის განსაზღვრის საშუალებები, სხვადასხვა ფირმის ანტიდიაბეტური პერორალური მედიკამენტები და სხვა დიაბეტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის მსოფლიოში აპრობირებული თანამედროვე ტექნიკური საშუალებები. „დიაბეტის სასწავლო ცენტრში“ ლექციების კურს კითხულობდნენ საქართველოს წამყვანი ექიმი-ენდოკრინოლოგები: პროფესორები დ. მეტრეველი, დ. ვირსალაძე, რ. ყურაშვილი, ზ. სეხნიაშვილი და საზღვარგარეთიდან მოწვეული ცნობილი სპეციალისტები. ცენტრში მისი დაარსების დღიდან მომზადება გაიარა სხვადასხვა პროფილის ასეულობით ექიმმა, ექთანმა და დიაბეტიანმა პაციენტმა. სასწავლო ცენტრს დაარსების დღიდან ხელმძღვანელობს მედიცინის დოქტორი ნ. ბიკაშვილი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ასოციაციის თანადგომით ამ წლებში მომზადებული და დაცული იქნა რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ასოციაციის სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება ჩვენი ერთერთი პრიორიტეტია.

НовоНорм
НовоНорм
Инсулины

4. დიაბეტური ბანაკი

დიაბეტიანი ბავშვების სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ კატეგორიის ბავშვების დამოუკიდებელ პიროვნებებად ჩამოყალიბებას, რაც მათი ცხოვრების წესის გამო საკმაოდ გართულებულია. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას იმ ბავშვებში, ვისაც დიაბეტი გამოუვლინდა ადრეულ ასაკში (1-დან 10 წლამდე). ეს ბავშვები პრაქტიკულად მიჯაჭვულები არიან მშობლის მეურვეობას და მათგარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენიათ. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ყოველწლიურად ტარდება ე. წ. „დიაბეტური ბანაკი", სადაც სპეციალურად მომზადებული პერსონალის (ექიმები, მედდები, მოზრდილი დიაბეტიანები) დახმარებით ხდება ბავშვების (12-18 წლამდე) სწავლება და ადაპტაცია დამოუკიდებელი თანაარსებობის პირობებში. ბანაკის ხანგრძლივობაა 10 დღე. ამ ხნის განმავლობაში ბავშვები თვითონ ეჩვევიან ინსულინის ინექციების გაკეთებას, სწავლობენ დოზირების კორექციას, იღებენ სხვადასხვა სახის ფიზიკურ დატვირთვებს, ხდება თანატოლებთან ფსიქოლოგიური შეგუება, რასაც დიაბეტიანი ბავშვებისათვის (ბევრს ამ დაავადების გამო არასრულფასოვნების კომპლექსი თან სდევს) უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პირველი „დიაბეტური ბანაკი" ქართველი და ამერიკელი ბავშვებისათვის ჩატარდა 1995 წელს აშშ-ში (ჰიკორი-ჰილი, მისურის შტატი), ასოციაციის, საერთაშორისო ორგანიზაცია „ექტ-ჯორჯიასა" და მისი პირველი დირექტორის პროფ. რონალდ ჯეიმსის ხელშეწყობით.

1996 წლიდან დღემდე, ყოველწლიურად ტარდება ასეთივე ბანაკები ქართველი და უცხოელი ბავშვებისათვის საქართველოში.

2007 წლის სექტემბერში, დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციისა და აფხაზეთის არ ჯანდაცვი სა და სოციალური მომსახურების სამინისტროს თაოსნობით, აფხაზეთიდან დევნილმა ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს უკრაინის დიაბეტის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ დიაბეტის საერთაშორისო ახალგაზრდულ ფესტივალში, რომელიც ჩატარდა ყირიმში, კერძოდ კი არტეკში. ფესტივალის მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნების დიაბეტიანი ბავშვების ფსიქოსოციალური და ფიზიკური რებილიტაცია.

АРТЕК
ДИТЯЧИЙ ТАБІР
"МОРСЬКИЙ"
КОРПУС
"ІЗУМРУДНИЙ"

5. სპორტული კლუბი „რუბიკონი“

გიორგი
1997 წელი

2006 წელს 15 დეკემბერს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის გიორგი ამირხანაშვილის ინიციატივით, რომელიც ადრეული ბავშვობის ასაკიდან იზრდებოდა სპორტული რეჟიმით, დაარსდა სპორტული კლუბი „რუბიკონი“ და მოხდა ამავე სახელ წოდების საფეხბურთო გუნდ „რუბიკონის“ პრეზენტაცია. გუნდში გაერთიანებულნი არიან, როგორც დიაბეტიანი მოზარდები, ასევე არადიაბეტიანი მოთამაშეები. ზემოთ აღნიშნული სპორტული კლუბის დაარსების იდეა ეფუძნება დიაბეტიანი და ჯანმრთელი ბავშვების ინტეგრაციას, რაც სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი გახლავთ. საფეხბურთო გუნდმა „რუბიკონმა“ 2006 წელსვე მიაღწია პირველ წარმატებას მინიფეხბურთში. „ბენდელას“ თასის ტრადიციულ გათამაშებაში დაამარცხა რა, უძლიერესი მეტოქეები, დაიკავა საპატიო მე-2 ადგილი და უკან ჩამოიტოვა ცნობილი საფეხბურთო კლუბების გუნდები. მომდევნო წლებშიც „რუბიკონმა“ არაერთ წარმატებას მიაღწია სხვადასხვა შეჯიბრებებში და საპრიზო ადგილებიც მოიპოვა.

ITALIA

VTB
www.pfl.ge

VTB
www.pfl.ge

6. დინამო
22.58.4
რუბინკინი
00
00
მე-15 ტრადიციული ტურნირი
მინი ფეხბურთში
ბ ე ნ ფ ე ლ ა ს თ ა ნ ი

Mobil
Mobil
Mobil
febi

6. დიაბეტიან ბავშვთა ცენტრი

პირველი „დიაბეტიან ბავშვთა ცენტრი“ გაიხსნა 1998 წ. 24 ოქტომბერს ქ.თბილისში, თბილისობის დღესასწაულზე . ცენტრი განთავსდა პ. ქავთარაძის ქ. №27-ში, დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის ბაზაზე. გახსნის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და მასთან ერთად მოწვეული სხვა მაღალი რანგის სახელმწიფო - პოლიტიკური თანამდებობის პირები (პარლამენტის წევრები, მინისტრები), ასევე ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელები და საპატიო სტუმრები, რომელთა შორის უპირველესი გახლდათ ჩვენს მიერ ოფიციალური მოწვევით ჩამობრძანებული, ჩვენი ასოციაციის ერთგული მეგობარი და გულშემატკივარი, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის (IDF) პრეზიდენტი ქალბატონი მარია დე ალვა. ახლად გახსნილ ცენტრს საქართველოს და დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტებმა უმაღლესი შეფასება მისცეს და აღნიშნეს რომ ცენტრი იყო საერთაშორისო დონის და იგი აკმაყოფილებდა უმაღლესი ხარისხის ყველა სტანდარტს.

ამავე დღეს, ასოციაციის საერთო კრების მიერ, დიაბეტიანი ბავშვებისადმი გამოჩენილი გულისხმიერებისა და დახმარებისთვის, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე არჩეული იქნა ასოციაციის საპატიო წევრად და მას საზეიმო ვითარებაში გადაეცა საპატიო წევრობის დამადასტურებელი სპეციალური დიპლომი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცენტრის ტერიტორიის კეთილმოწყობაში დიდი წვლილი შეიტანა ქ. თბილისის მერიამ.

„დიაბეტური სოფელ"



An interactive
edutainment
program
1950
2000

6.1. სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა

ასოციაციის პრეზიდენტის კ.ამირხანაშვილის ინიციატივით 1999 წელს დაიწყო ახალი სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა. მანვე ასოციაციას ცენტრის მშენებლობისთვის საჩუქრად გადასცა თავის საკუთრებაში არსებული 1600 კვ.მ. მიწის ფართობი. ცენტრის საპროექტო სამუშაოები საქველმოქმედოდ შეასრულა ცნობილმა არქიტექტორთა ჯგუფმა მ. ჩხენკელის ხელმძღვანელობით. 2000 წელს თანხების უქონლობის გამო მშენებლობა უვადოდ დაკონსერვდა.

მისი განახლება მოხდა მხოლოდ 2005 წელს, საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის უშუალო ჩარევითა და მხარდაჭერით. სახელმწიფოსთან ერთად მშენებლობაში თავისი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა კერძო პირებმა და კომპანიებმა. მათ შორის უპირველესი იყო დანიური კომპანია „ნოვო-ნორდისკი“, რომელმაც მშენებლობაში მონაწილეობის გარდა, ქ.თბილისის მერიისაგან ასოციაციისთვის შეისყიდა მშენებარე ცენტრის მომიჯნავედ მდებარე 684 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რამაც მოგვცა საშუალება აღნიშნულ ტერირორიაზე აგვეშენებინა და მოგვეწყო შენობის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული ნაგებობები. მშენებლობის დასრულების შემდეგ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები აცოციაციის თხოვნით განახორციელა ქ. თბილისის მერიამ. 2008 წელს მშენებლობა დასრულდა და სარეაბილიტაციო ცენტრი სათანადოდ აღიჭურვა. ბოლო წლების სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა განახორციელა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

ცენტრი განთავსებულია 3600კვ.მ. ფართობზე. ცენტრი მთლიანად კონდიცირებულია. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც მუშაობს როგორც ბუნებრივ აირზე, ასევე დიზელის საწვავზე. შენობაში ელ. მომარაგება ხორციელდება ორი საკაბელო ხაზით (ძირითადი და ავარიული), ხოლო იმ შემთხვევაში თუ, აღნიშნული ხაზები ვერ მოაწვდიან ცენტრს ელ. ენერგიას, ირთვება ავტონომური დიზელ-გენერატორი, რომელიც უზრუნველყოფს შენობაში დენის უწყვეტ მიწოდებას, რაც აუცილებელია ინსულინის შესანახი სამაცივრო დანადგარების გამართული მუშაობისთვის. შენობაში დამონტაჟებულია ჰიდრავლიკური ლიფტი, რაც საშუალებას იძლევა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აგებული პანდუსით შემოსული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები შეუფერხებლად გადაადგილდნენ შენობის სხვადასხვა სართულზე (სპორტკაფეში, სპორტდარბაზის მაყურებელთა ზედა აივანზე და სააქტო დარბაზში).

საკუთრების უფლების მოწმობა № 1/00001

ქ. თბილისის სკვერი

(აღგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს დასახელება)

ეძლევა დიაბეტიან ბავშვთა ფაფის ასოციაცია

(მესაკუთრე/მესაკუთრეები)

მიზეზი, რომ მის საკუთრებაში გადავიდა: ნასახლარი - სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ფართობით: -684- კვ.მ/ჰა

სახელფასო-სამეურნეო/არასახელფასო-სამეურნეო

და შენობა/ნაგებობა, ფართობით: _____ კვ.მ/ჰა

შენობა ნაგებობის ოდენობა და მათი ფართობა

რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 27

(აღგილმდებარეობა/მისამართი)

მიწმობა შედგენილია 2 ეგზემპლარად ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, მეორე ინახება მიწმობის გამცემ ორგანოში. მიწმობა ძალაშია დამოწმებულ მიწის ნაკვეთის საკადასტრო ბლოგთან ერთად, რომელიც წარმოადგენს მიწმობის განუყოფელ ნაწილს.

გაცემულია 2007 წელს 20 დეკემბერი

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

შენობის მთავარი სპორტული არენა - „დიდი მოედანი“ აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, განათებით, ელ.ტაბლოთი, კეთილმოწყობილი გასახდელებითა და საშხაპეებით. შენობის პირველ სართულზე განლაგებულ ფიტნეს-ცენტრებში დადგმული და დამონტაჟებულია უახლესი მოდელების ტრენაჟორები და სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, სადაც ერთდროულად შეუძლია სარეაბილიტაციო ვარჯიში გაიაროს 50-მდე ბავშვმა და მოზარდმა. შენობაში დამონტაჟებულია სპეციალური კამერა-მაცივარი ინსულინისა და სხვა მედიკამენტების შესანახად. შენობაში არის კეთილმოწყობილი სამუშაო ოთახები და კაბინეტები, სადაც თანამშრომლებისთვის ყველა პირობაა შექმნილი პაციენტებისა და მათი მშობლების მისაღებად, რათა ამ უკანასკნელთ გაეწიოთ უმაღლესი ხარისხის მომსახურება. სარეაბილიტაციო ცენტრი მთლიანად აღჭურვილია როგორც გარე, ასევე შიდა ხედვის ვიდეო კამერებით, რითაც კონტროლდება მთლიანი შენობის უსაფრთხოება.

CAT

GEORGIA

GEORGIA
Association

Novo Nordisk

FIVE STAR

6.2.სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნა

დიაბეტიან ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც გაიხსნა 2008 წ. 14 ნოემბერს. შენობის „A“ ფლიგელში განთავსდა ოფთალმოლოგიური კაბინეტი, ლაბორატორია (გლიკოჰე-მოგლობინის განსასაზღვრად), ინსულინის შესანახი სამაცივრო დანადგარი. სხვადასხვა მედიკამენტებისა და საანალიზო-ტექნიკური საშუალებების საწყობი (პირველ სართულზე), დიაბეტიანი პაციენტებისა და მათი მშობლების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების ოფისები და ადმინისტრაცია (მე-2, 3 სართულები). მე-4 სართულზე მდებარეობს მცირე სააქტო დარბაზი გათვალისწინებული 60 ადამიანზე. შენობის ცენტრალური ნაწილი და „B“ ფლიგელი ძირითადად გამოყენებულია სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობისთვის. კერძოდ: შენობის ნულოვან სართულზე განთავსებულია უახლესი ინვენტარით აღჭურვილი ფიტნეს ცენტრები (თავისი გასახდელებით); შენობის პირველ სართულზე მდებარეობს მთავარი სპორტდარბაზი, გასახდელები, ექიმის კაბინეტი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპეციალური სანკვანძები; მეორე სართული დათმობილი აქვს სპორტკაფეს; მესამე სართულზე განთავსებულია სარეაბილიტაციო ცენტრის ადმინისტრაცია და სათათბირო ოთახები; მეოთხე სართულზე მდებარეობს დიდი სააქტო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული, აუდიო და ციფრული ტექნიკით, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს სხვადასხვა სახის შეკრებები (სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, პრეზენტაციები). დარბაზი იტევს 220 კაცს. შენობას აქვს კეთილმოწყობილი ეზო, სადაც განთავსებულია ტექნიკური ბლოკები (გათბობა, ელ-მომარაგება, დიზელგენერატორი) და სტანდარტების შესაბამისი პანდუსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შეასავლელად. ამ უკანასკნელთათვის შენობის „B“ ფლიგელში დამონტაჟებულია სპეციალური ლიფტი, რომელიც მისცემთ მათ საშუალებას შეუფერხებლად მოხვდნენ სასურველ სართულზე. გახსნის დღიდან სარეაბილიტაციო ცენტრში წარმატებით ხორციელდება დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა.

SOCCER

7. დიაბეტის მსოფლიო დღე



დიაბეტის მსოფლიო დღე აღინიშნება ყოველი წლის 14 ნოემბერს. დიაბეტის მსოფლიო დღე დაარსდა 1991 წელს, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციისა და მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ. დიაბეტის მსოფლიო დღე გაეროს მიერ (რეზოლუცია 61/25) აღიარებულ იქნა ოფიციალურ საერთაშორისო დღედ. მსოფლიო დიაბეტის დღის აღნიშვნა, დიაბეტთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს მოიცავს და მიუთითებს სამთავრობო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ფარმაცევტულ კომპანიებს, ექიმებს, ძალისხმევის გაერთიანებისკენ, რათა შეცვალონ დიაბეტიანების მდგომარეობა უკეთესობისკენ. დიაბეტის მსოფლიო დღე აღინიშნება 14 ნოემბერს - კანადელი ქირურგისა და მკვლევარის, ფრედერიკ ბანტინგის დაბადების დღეს, რომელმაც 1921 წელს თავის სტუდენტთან, ჩარლზ ბესტთან ერთად პირველად აღმოაჩინა ინსულინი. ამ აღმოჩენისთვის 1923 წელს მათ მიენიჭათ ნობელის პრემია. დიაბეტის დღე აღინიშნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ყოველ წელს, დიაბეტის მსოფლიო დღე ეძღვნება დიაბეტთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პრობლემას. 2009-2013 წლები გამოცხადებული იყო დიაბეტური განათლების და პრევენციის წლებად.

მსოფლიო დიაბეტის დღის ლოგო - ცისფერი წრე, არის დიაბეტის გლობალური სიმბოლო. ემბლემა გაეროს რეზოლუციით მიღებულ იქნა 2007 წელს. ცისფერი რგოლი არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სიმბოლო. ცისფერი ფერი გამოხატავს ცას, რგოლი კი დიაბეტური საზოგადოების ერთიანობის ნიშანია. საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება დიაბეტის მსოფლიო დღე.

novo nordisk

DIABETES
KIDNEYS

DIABETES
KIDNEYS



Diabetes

bwin
SIEMENS
mobile
AIG

8. საზოგადოებრივი მოძრაობა – „ვიცხოვროთ დიაბეტთან ერთად“

LWD

LIVE WITH DIABETES

ვიცხოვროთ დიაბეტთან ერთად

2009 წლის 14 ნოემბერს დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტის პროფ. კობა ამირხანაშვილის თაოსნობით დაფუძნდა საერთაშორისო საზოგადოებრივი მოძრაობა „ვიცხოვროთ დიაბეტთან ერთად“. მოძრაობის დაფუძნება მოხდა დიაბეტიან ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის დიდ სააქტო დარბაზში, სადაც დიაბეტის მსოფლიო დღეს აღნიშნავდნენ დიაბეტიანი ბავშვები და მოზარდები, მათი მშობლები, მოზრდილი პაციენტები, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები და პოლიტიკოსები. მოძრაობის მიზანია, საზოგადოების კონსოლიდაცია, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, რათა სახელისუფლებო ნომენკლატურამ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს დიაბეტიან პაციენტებს მათთვის ყოველგვარი დახმარების გაწევის მიზნით (მედიკამენტებითა და სამედიცინო გამოკვლევებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დაზღვევა, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და სხვ.). დამსწრე საზოგადოებამ მოძრაობის ლიდერად ერთხმად აირჩია პროფ. კობა ამირხანაშვილი. მოძრაობა გახსნილია ყველა კერძო და იურიდიული პირისთვის და არ ითვალისწინებს არანაირ შეზღუდვებს წესდების ფარგლებში. მოძრაობაში გაწევრიანება და ამ მოძრაობიდან გასვლა თავისუფალია (ამის შესახებ საკმარისია ეცნობოს მოძრაობის საორგანიზაციო კომიტეტს). მოძრაობას გააჩნია თავისი სიმბოლიკა (ლოგო), რომელიც თეთრ ფონზე ასიმეტრიულ ლურჯ წრეს წარმოადგენს, რომლის გულში თეთრ ფონზე ლურჯი ფერის აბრევიატურაა „LWD“, რაც ნიშნავს „LIVE WITH DIABETES“ (ვიცხოვროთ დიაბეტთან ერთად). ინფორმაცია მოძრაობის დაფუძნების შესახებ, გაგზავნილია დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციასა (IDF) და სხვადასხვა ქვეყნების დიაბეტურ ასოციაციებსა და ფედერაციებში.

9. საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებში მონაწილეობა

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებებში. კერძოდ, უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ასოციაციის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის (IDF) და ევროპის ასოციაციის (EASD) ყველა კონგრესში. ზემოთ აღნიშნულ სამეცნიერო ფორუმებზე წარდგენილი იქნა მრავალი ათეული სამეცნიერო თემა (როგორც ზეპირი მოხსენების, ასევე სტენდური პოსტერის სახით), რომლებიც დაბეჭდილია, როგორც სამეცნიერო ნაშრომები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბევრმა მათგანმა დაიმსახურა მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების მაღალი შეფასებები. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2009 წლის ნოემბერში, მონრეალში (კანადა), დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის (IDF) მიერ ჩატარებულ მსოფლიო კონგრესზე, ასოციაციის თანამშრომლების მიერ წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ეძღვნებოდა ინსულინის ანალოგების გამოყენებასა და დიაბეტიან ბავშვებსა და მოზარდებში ფიზიკური დატვირთვების ოპტიმიზაციას, აგრეთვე მათ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას. ამ მოხსენებებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს სპეციალისტების მიერ, რაც ყრილობის შემაჯამებელ დოკუმენტში სპეციალურად იქნა აღნიშნული. ეს ჩვენი მეცნიერების უდიდეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ასოციაცია შემდგომშიც აქტიურად გააგრძელებს თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას, რაც პირდაპირ უკავშირდება დიაბეტიანი პაციენტებისათვის მაღალკვალიფიციური დახმარების გაწევას.

EASD
ROMA 2008

18th International
Diabetes
Federation Congress
August 24 - 29, 2003

treatment of anaem
Reduces cardiovascular
d mortality risk
oves Quality of Life
s hospital resource
Acta Diabetol 2002;39(Suppl
Acta Diabetol 2002;39(Suppl


18th International
Diabetes
Federation Congres
August 24 - 29, 200

Welcome to the 43rd annual meeting of
EUROPEAN ASSOCIATION FOR THE STUDY OF
17-21 September 2007

S
U

There is nothing sweeter than a
Child born to a "sweet" mother.
ETES FEDERATION

BOARD NO. 570
ABSTRACT NO. 2815
ABSTRACT NO. 2816
ABSTRACT NO. 2817
ABSTRACT NO. 2818
MONDAY
TUESDAY
THURSDAY
FRIDAY
ABSTRACT NO. 2811
ABSTRACT NO. 2812
ABSTRACT NO. 2813
ABSTRACT NO. 2814
STAGED MANAGEMENT OF DIABETES EDUCATION IN GEORGIA

Januvia
ACCU-CHEK

Medtronic

PENSION PENDINI

Marriott

REGINA HOTEL BAGLIONI

Welcome to the 43rd annual meeting of the
EUROPEAN ASSOCIATION FOR THE STUDY OF DIABETES
17-21 September 2007

sanofi aventis
ACOMPLIA

Your journey inspires ours.

Your journey inspires ours.

Photo Point

sanofi aventis

LANTUS
APIDRA

EASD 2009
Messe Wien

EASD 2009
45th Annual Meeting
of the European Association
for the Study of Diabetes
29 September - 2 October 2009

NEW
VICTOZA
liraglutide injection
Grab diabetes
by the roots.
NEW
VICTOZA

Thank You for Participa
The MSD Challeng
Koba's score is 3110
Vince's score is 3240
Daisuke's score is 2070
Yoko's score is 4320

Pfizer
ONCE-DAILY
NORVASC

EASD
40th Annual Meeting of
the European Association
for the Study of Diabetes
September 5 - 9, 2004

Associazione Italiana
Diabetici

ADHERENCE TO PHYSICIAN'S INSTRUCTIONS
HAS THEIR LIFE CHANGED SINCE BEING DIAGNOSED ?

1868
1955
ნოე ჟორდანია
საქართველოს რესპუბლიკის
პირველი პრეზიდენტი
საქართველომ 1918 წ. 26 მაისს
მოსე მეთოდეს ძეს

S
U

P1384
P1385
P1386
GEORGIA

DIABETES
DIFFERENCE
RAK

BD

A LEGAL PROTECTION DEPARTMENT
TO FIGHT AGAINST DISCRIMINATION LINKED TO DIABETES

Galvus
Galvus Met
MSD

MSD
MSD
THE MOST WIDELY PRESCRIBED DPP-4 INHIBITOR WORLDWIDE

Detemir use in children and adolescents with type 1 diabetes in Georgia.

FESTIVAL

IDF 2011

SHEIKH RAS D
A B E
session ha
الشيخ راشد
A B E
قاعات المحاضرات

MEDIA CENTRE
& EXECUTIVE
LOUNGES
1ST FLOOR
المركز الإعلامي
وردهة التنفيذيين
الطابق الأول

ცალკე აღნიშვნის ღირსია ასოციაციის მიერ ორგანიზებული და ჩატარებული ორი საერთაშორისო კონფერენცია ქ.თბილისში.

პირველი ჩატარდა 2003 წ. 6 მაისს სასტუმრო მერიოტ-თბილისში და მიეძღვნა ენდოკრინოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. მოხსენებებით წარსდგნენ როგორც უცხოეთის ასევე საქართველოს წამყვანი სპეციალისტები.

მეორე კონფერენცია კი მიეძღვნა ბავშთა დიაბეტს და იგი ჩატარდა 2013 წ. 13-14 აპრილს დიაბეტიან ბავშვთა ცენტრში. ეს უკანასკნელი გახდა ტრადიციული და მას დაერქვა „პედიატრ-ენდოკრინოლოგთა თბილისის პირველი საერთაშორისო კონფერენცია“. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო შვიდი ქვეყნის დელეგაციამ. ორივე კონფერენცია ჩატარდა დანიური კომპანია „ნოვო ნორდისკ“-ის თანადგომითა და დაფინანსებით.

Первая Тбилиская конференция
детских эндокринологов


Первая Тбилиская конференция
детских эндокринологов
«Современные терапевтические стратегии в детской диабетологии и актуальные проблемы в клинической практике»
13-14 апреля 2013

10. დიაბეტი და კანონმდებლობა

პირველი ნაბიჯი, რაც ასოციაციის რეგისტრაციის მერე გადავდგით, იყო ოფიციალური მიმართვა მაშინდელი მთავრობის მიმართ, რათა გამოსულიყო სპეციალური დადგენილება დიაბეტიანი ბავშვების მკურნალობისა და ხელშეწყობის შესახებ, რაც იმ დროისათვის უაღრესად აქტუალური იყო (არ გვქონდა ოფისი, არ იყო დიაბეტის პროფილით მომუშავე სპეციალიზირებული აფთიაქი და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი შეთანხმებები თითქმის მიღწეული იყო სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებს შორის, 1991-1992 წწ. თბილისის მოვლენების გამო, როდესაც კანონიერი ხელისუფლება დამხობილი იქნა სამხედრო გადატრიალების გზით, ჩვენდა სამწუხაროდ ვერ მოესწრო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

მოგვიანებით დაიწყო საომარი მოქმედებები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, გაჩაღდა სამოქალაქო ომი, რის გამოც ამ საკითხების მოგვარებამ დიდი ხნით გადაიწია.

რაც დრო გადიოდა, პრობლემები პრობლემებს ემატებოდა და აშკარად იკვეთებოდა სახელმწიფო დონეზე არამარტო დიაბეტიანი ბავშვების, არამედ დიაბეტიანი მოსახლეობისა და ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა აუცილებელი სასიცოცხლო მედიკამენტებით უზრუნველყოფისა და მკურნალობის, მათი ფსიქო-სოციალური დახმარებისა და რეაბილიტაციის, აგრეთვე საზოგადოებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი დისკრიმინაციული სტიგმების გადაჭრის აუცილებლობა, რასაც სჭირდებოდა შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა.

ამ მიზეზების გამო მივიღეთ გადაწყვეტილება წავსულიყავი აქტიურ პოლიტიკაში და როგორც პოლიტიკოსს მომეგვარებინა ზემოთხსენებული პრობლემები საკანონმდებლო დონეზე.

1995წ. საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიამ - მოქალაქეთა კავშირმა, და მე როგორც ამ გუნდის წევრმა დავიწყე აქტიური სადეპუტატო საქმიანობა.

პირველი საკანონმდებლო ინიციატივა ეხებოდა ინსულინების, ინსულინის შპრიცების, საანალიზო-ტექნიკური საშუალებების (გლუკომეტრების) იმპორტის ყოველგვარი გადა სახადებებისგან გათავისუფლებას. ამ მიზნით ახლად მიღებულ საგადასახადო კოდექსში ჩაიდო სპეციალური მუხლი, რომელმაც გაანთავისუფლა ზემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო პროდუქტები დაბეგვრისაგან.

ამის შემდეგ პარლამენტმა მიიღო რიგი კანონებისა, სადაც სპეციალური მუხლები შევიდა დიაბეტიანი მოსახლეობის უფლებების დასაცავად.

განსაკუთრებით უნდა ავღნიშნოთ „საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, სადაც 85-ე მუხლში ჩაიწერა სახელმწიფოს მიერ დიაბეტიანი მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფის ვალდებულებების შესახებ. აღნიშნული მუხლის შეტანას კანონში, რაოდენ პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, ეწინააღმდეგებოდა ჯანდაცვის სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობა. რამდენიმე თვიანი „ბრძოლა“ ბიუროკრატებთან დამთავრდა ჩვენი გამარჯვებით და ამ კანონით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, უზრუნველეყო მედიკამენტებით როგორც დიაბეტიანი, ასევე ის პაციენტები, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ ჩანაცვლებით თერაპიულ მკურნალობას. მსგავსი კანონი პირველი იყო პოსტსაბჭოურ სივრცეში და მან მაგალითი მისცა სხვა ქვეყნების საკანონდებლო ორგანოებს მიეღოთ ანალოგიური კანონები.

ზემოთხსენებული კანონის მსგავსად, სხვადასხვა დროს, განათლების სამინისტროს მაღალი რანგის ჩინოვნიკები, ასევე დიდი წინააღმდეგობას უწევდნენ „კანონში ზოგადი განათლების შესახებ“ იმ მუხლის შეტანას, რომელიც ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების პირებს დაუწესებდა სწავლისა სრულფასოვანი აღზრდისათვის არააკადემიურ შეღავათებს (ინკლუზიური სწავლება). დღეს ჩვენს მიერ ინიცირებულ და მიღებულ კანონს უმაღლეს შეფასებას აძლევენ ევროკავშირის ექსპერტები, ხოლო განათლების სამინისტრო ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობების პირებისათვის წარმატებით ახორციელებს სპეციალური პროგრამებით სწავლებას, რაც უდაოდ დიდი მიღწევაა ჩვენი ქვეყნისთვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „საქართველოს კანონი პენსიების შესახებ“. ახალი კანონის ამოქმედებით, დიაბეტიან ბავშვებს 0-დან 18-წლამდე ენიშნებათ პენსია (სოციალური დახ-მარება) ყოველწლიური გადამოწმების გარეშე, ხოლო 18 წლის ასაკის მიღწევისას ავტომატურად უვადოდ ენიჭებათ ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსთან ერთად მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი. ამით დასრულდა ჩვენი ბავშვებისა და მათი მშობლების ყოველწლიური გაუგებარი სიარული სოციალური დახმარების კომისიებზე, რაც ყოველთვის უდიდეს ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებდა როგორც დიაბეტიან ბავშვებს, ასევე მათ მშობლებს.

1997 წელს მიღებული საგადასხადო კოდექსით, მედიკამენტების გარდა შეღავათი დაუწესდა დიაბეტურ პროდუქტების, როგორც ადგილობრივ წარმოებას, ასევე მის იმპორტს. კანონი შეეხო იმ პროდუქტების ჩამონათვალს რომლებიც სპეციალურად იყო მარკირებული. მიუხედავად იმისა რომ ჩვენი ძალისხმევა არ დაკლებია ამ კანონის მოქმედების „სასიკეთო“ შედეგების მიღებას, გაჩნდა სავაჭრო ობიექტები წარწერით „დიაბეტური პროდუქტები“, რაც აშკარად დისკრიმინაციული იყო დიაბეტიანი მოსახლეობისათვის. ამ გარემოებას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ხშირად დიაბეტური პროდუქტების სახელით ბაზარზე შემოდიოდა სრულიად უხარისხო და მაღალი კალორაჟის მქონე პროდუქტები, მოსალოდნელი შედეგები თვალნათლივ ჩანდა.

ამის გამო, ჩვენივე ინიციატივით გაუქმდა ზემოთხსენებული შეღავათები ე.წ. დიაბეტურ სურსათზე (დიაბეტური პურის გარდა), ხოლო „საქართველოს კანონში რეკლამის შესახებ“ შევიტანეთ სპეციალური მუხლი სავაჭრო ობიექტებზე ზემოთხსენებული დისკრიმინაციული რეკლამების განთავსების აკრძალვის შესახებ. კომერციულ დაწესებულებებს მიეცათ რეკომენდაცია, რათა ასე პროდუქტები განეთავსებინათ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ დახლებზე წარწერით „დიეტური პროდუქტები“, ისევე როგორც ეს არის ორგანიზებული ევროკავშირის ქვეყნებში ანალოგიური პროდუქტების ვაჭრობისას.

ჩვენი წიგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ ჩამოვთვალეთ იმ დეპუტატების სახელები, ვინც ყოველთვის გვერდში გვედგა და ჩვენთან ერთად იზიარებდა როგორც წარმატებებით გამოწვეულ სიხარულს, ასევე სხვადასხვა დროს უსამართლობით გამოწვეულ გულისტკივილს. სწორედ ამ პოლიტიკოსების დახმარებით გრძელდებოდა წლების განმავლობაში ჩვენი საკანონმდებო ინიციატივების კანონებად გარდასახვა, რომელთა მიღებასაც იმ მომენტებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყანაში არა მარტო საქველმოქმედო საქმიანობის ხელშეწყობისთვის, არამედ ზოგადად არასამთავრობო სექტორის განვითარებისათვის.

AP DE L'OTAN
NATO PA
PARLEMENT EUROPEEN
EUROPEAN PARLIAMENT
GEORGIE
GEORGIA

OSCE

TURQUIE
TURKEY
GEORGIE
GEORGIA
FINLANDE
FINLAND

3

20MILA MORTI A NEW YORK
Terrorists strike US!

GEORGIA

OSCE PA
FINLAND

11. ასოციაციის ოქროს სპონსორი — კომპანია „ნოვო ნორდისკი“

თავისი არსებობის პირველი წლებიდან ასოციაცია თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ ინსულინის მწარმოებელ დანიურ კომპანია „ნოვო ნორდისკთან“. ამ კომპანიის დამსახურებაა ის, რომ 1990-2000 წლების განმავლობაში დიაბეტიან ბავშვებს მიეწოდებოდა ასიათასობით აშშ დოლარის ღირებულების უფასო მედიკამენტები და სხვადასხვა საანალიზო ტექნიკური საშუალებები, განსაკუთრებით კი მედიკამენტი „გლუკაგენი“, რომლის გამოყენებითაც ამ წლების განმავლობაში არ გვქონია ბავშვებს შორის ჰიპოგლიკემიური კომით გამოწვეული ლეტალობის შემთხვევები. 2000 წლიდან კომპანია „ნოვო-ნორდისკის“ დახმარება საქართველოს დიაბეტიანი მოსახლეობის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა. ეს დაკავშირებული იყო კომპანიის ვიცე-პრეზიდენტად ჰარი იტამერის დანიშვნასთან.

ჰარი იტამერი საქართველოში პირველად ჩამოვიდა ასოციაციის მოწვევით 2000 წლის მარტში დელეგაციასთან ერთად, ასოციაციისა და კომპანია „ნოვო-ნორდისკის“ მიერ ერთობლივად ჩატარებულ ჰუმანიტარულ აქციაზე, სადაც საქართველოს დიაბეტიან ბავშვებსა და მოზარდებს გადაეცათ ასიათასი აშშ დოლარის ღირებულების ინსულინი, საანალიზო ტექნიკური საშუალებები და სხვა საჩუქრები. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.

ამის შემდეგ ჰარი იტამერის აქტიური მხარდაჭერით კიდევ რამდენიმე ჰუმანიტარული აქცია ჩატარდა ასოციაციის წევრი დიაბეტიანი ბავშვების დასახმარებლად. საქართველოს დიაბეტანი მოსახლეობისათვის განსაკუთრებით აღსანიშნავია 2001 წელი, როდესაც საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის ერთობლივი გადაწყვეტილებით, გამოცხადდა მრავალწლიანი ტენდერი დიაბეტიანი მოსახლეობისათვის ინსულინის შესყიდვაზე (2001 — 2005 წწ.), სადაც გაიმარჯვა კომპანია „ნოვო-ნორდისკმა“, რომლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება ითვალისწინებდა იმ წლებში საქართველოს დიაბეტიანი მოსახლეობის ადამიანის ინსულინით მომარაგებას. მათ შორის 10-მილიონამდე აშშ დოლარის ღირებულების ინსულინის უფასოდ მოწოდებას.

ამ გადაწყვეტილებით საქართველო გახდა, დანიის, ნორვეგიის, შვეციისა და ფინეთის შემდეგ, მსოფლიოში მეხუთე ქვეყანა, რომელიც თავის დიაბეტიან მოსახლეობას უზრუნველყოფდა უმაღლესი ხარისხის ადამიანის ინსულინით. საქართველოსათვის ასეთი ხელსაყრელი პირობების შექმნა, პირველ რიგში, დაკავშირებული იყო ჰარი იტამერის სახელთან. საქართველოში მცხოვრები დიაბეტიანი მოსახლეობისათვის გაწეული დიდი ღვაწლისათვის,

ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეს ჰარი იტამერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, 2001 წელს მიანიჭა საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება.

აღნიშნული ჯილდო პრეზიდენტმა პირადად გადასცა ჰარი იტამერს საგანგებოდ მოწყობილ საზეიმო მიღებაზე, რითაც მან ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, რასაც ის ყოველთვის იჩენდა დიაბეტიანი ბავშვების მიმართ. იმავე წელს, საქართველოს ახლადშეძენილმა საპატიო მოქალაქემ, საქართველოს დამოუკიდებლობის 10 წლისთავს მიუძღვნა სპეციალური ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლუსზე და იქ აღმართა საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშები. ჰარი იტამერმა ჩრდილო პოლუსზე გადაღებული სურათები გამოგზავნა ასოციაციაში, რომელიც ასოციაციის პრეზიდენტმა გადასცა საქართველოს პრეზიდენტს ამ უკანასკნელის ღირსების ორდენით დაჯილდოების დროს. 2002 წლიდან კომპანია „ნოვო-ნორდისკის“ ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დაიკავა სერგეი სმირნოვმა. მან და კომპანიის მენეჯერმა კავკასიის რეგიონში ვიქტორ ვლასოვმა დიდ როლი ითამაშეს ასოციაციასა და კომპანია „ნოვო-ნორდისკს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებაში. მათ წარმატებით გაგრძელეს დიაბეტიანი მოსახლეობის და განსაკუთრებით, დიაბეტიანი ბავშვების ჰუმანიტარული დახმარების ტრადიცია.

ჩრდილოეთ პოლუსზე საქართველოს დროშა აღმართეს

დამოუკიდებელი საქართველოს დროშა ჩრდილოეთ პოლუსზე ფრიალებს. ჩვენი სახელმწიფოებრიობის სიმბოლო ამ ქვეყნიერებისაგან მივარდნილ ადგილზე ჰარი იტამერმა აღმართა.

ჰარი იტამერი ქართველი არ გახლავთ, მაგრამ მას გასულ წელს საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. ჰარი იტამერი გახლავთ საერთაშორისო კომპანია „ნოვო-ნორდისკის" ვიცე-პრეზიდენტი. ამ ფირმას საქართველოში ინსულინი შემოაქვს, რომელიც დიაბეტიანებს უფასოდ მიეწოდებათ.

ამ დამსახურებისთვის იტამერს საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მიანიჭეს. ქართველი ხალხის პატივისცემის ნიშნად კი იტამერმა ჩრდილოეთ პოლუსზე საქართველოს დროშა აღმართა. ამასთან, მან საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს და დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტს კობა ამირხანაშვილს სპეციალური წერილები გამოუგზავნა. ჩრდილოეთ პოლუსზე აღმართული ქართული დროშის სურათიც, რომელსაც ჩვენს გაზეთში ვაქვეყნებთ, ჰარი იტაკმერის გამოგზავნილია.

„ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთ პოლუსზე საქართველოს დროშის აღმართვას. რომელიც დიდი სიამაყით მივუძღვენი ჩემს ქართველ მეგობრებს, კოლეგებს და ამით გამოვხატე უღრმესი პატივისცემა თქვენდამი, ბატონო პრეზიდენტო. ჩრდილოეთ პოლუსზე ჩემი მოგზაურობის თარიღი სიმბოლური აღმოჩნდა, ვამაყობ, რომ შესაძლებლობა მომეცა კიდევ ერთხელ წარმომეჩინა საქართველო. ნინასწარ მომელოცა დამოუკიდებლობის ათი წლისთავი" — ვკითხულობთ ჰარი იტამერის მიერ გამოგზავნილ წერილში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰარი იტამერი ფარმაცევტული ფირმის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ და ამდენად, ის არც თავის პროფესიულ მოვალეობებს ივინყებს და აცხადებს, რომ ის ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ათასობით საქართველოს მოქალაქეს ჰქონდეს საუკეთესო, მაღალი ხარისხის მედიკამენტები.

შორენა ბარსაგიშვილი

12. ასოციაციის საპატიო წევრები

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციას, დაარსების დღიდან ოცდახუთი წლის მანძილზე, ბევრი გულშემატკივარი და მხარდამჭერი ჰყავდა. ესენი იყვნენ როგორც მაღალი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები (პრეზიდენტები, პარლამენტის წევრები, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელები და სხვ.), ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საქმიანობა წარმატებით ხორციელდებოდა, სხვადასხვა დროს ხელისუფლებაში ჩნდებოდნენ ისეთი ჩინოვნიკებიც, ვინც ხელს უშლიდნენ დიაბეტიანი ბავშვებისა და ზოგადად დიაბეტიანი მოსახლეობის მკურნალობისა და სოციალური დაცვის გაუმჯობესებას. მათი მცდელობები შეეკვეცათ ან საერთოდ შეეწყვიტათ დიაბეტის სახელმწიფო პროგრამები, ქვეყანაში შემოეტანათ დაბალი ხარისხის ინსულინი და საანალიზო-ტექნიკური საშუალებები, ჩვენი წინააღმდეგობის შედეგად წარუმატებლად სრულდებოდა. ასოციაციის მიმართ ძალადობის და უსამართლობის კულმინაცია იყო (2009-2011 წწ.) ხელისუფლების ზოგიერთი მაღალი თანამებობის პირის მცდელობა მიეთვისებინათ დიაბეტიანი ბავშვების ახლადაშენებული საერთაშორისო სტანდარტების სარეაბილიტაციო ცენტრი. ეს ბოლო მცდელობაც ჩვენი მედგარი წინააღმდეგობის გამო ვერ განხორციელდა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს გამოცემა საზეიმო და საიუბილეოა, ავტორებმა თავი შევიკავეთ იმ პირების სააშკარაოზე გამოტანისგან, ვინც ამ წლების განმავლობაში ყველანაირად აფერხებდა ჩვენ საქმიანობას და გადავწყვიტეთ წიგნში შეგვეტანა მხოლოდ იმ ხალხის სახელები ვინც დიაბეტიან ბავშვებს ყოველთვის უცხადებდნენ თანადგომას და თავისი გადაწყვეტილებებით მხარს უჭერდნენ ჩვენ ინიციატივებსა და წინადადებებს.

ასეთი პიროვნებების გამოსარჩევად ასოციაციამ 1993 წლიდან საერთო კრების გადაწყვეტილებით შემოიღო საპატიო წევრის წოდება, რომელსაც მოგვიანებით დაემატა ოქროს მედლით დაჯილდოებაც.

ასოციაციის დაარსებიდან დღემდე ზემოთაღნიშნული საპატიო წევრის წოდებითა და ოქროს მედლით დაჯილდოვდნენ ის პირები, ვინც თავი გამოიჩინეს დიაბეტიან ბავშვების დახმარებითა და საქველმოქმედო საქმიანობით.

ასოციაციის პირველი საპატიო წევრი გახდა აჭარის ავტონომიური რასპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე. მან ქვეყნისათვის უმძიმეს საომარი მდგომარეობის პერიოდში, 1993 წლის იანვარში, დააკმაყოფილა ასოციაციის პრეზიდენტის თხოვნა და შეისყიდა დიაბეტიანი ბავშვებისთვის ინსულინის ორი წლის მარაგი, რომელიც გადმოგვცა

თბილისში თავისი სპეციალური წარმომადგენლის საშუალებით. ამით გადარჩა ასეულობით ბავშვის სიცოცხლე, რომლებსაც სამწუხაროდ იმ დროისთვის ასოციაციის გარდა სხვა მეურვე არ ჰყავდათ.

ასოციაციის რიგით მეორე საპატიო წევრი გახდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ, რომელიც შედგა 1992 წლის 9 მარტს, ე.შევარდნაძე დიაბეტიანი ბავშვების და ზოგადად დიაბეტიანი მოსახლეობის გამოკვეთილი მხარდამჭერი გახდა. იგი ყოველთვის გულისყურით ეკიდებოდა ჩვენ თხოვნას, რაც რელიზდებოდა კონკრეტული გადაწყვეტილებებით. ე.შევარდნაძემ 1998 წლის ნოემბერში საზეიმო ვითარებაში გახსნა ჩვენი პირველი „დიაბეტიან ბავშვთა ცენტრი".

ასოციაციის რიგით მესამე საპატიო წევრი გახდა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია. იგი ასოციაციის სახელით დასმულ ყველა საკანონმდებლო ინიციატივას მხარს უჭერდა და გვეხმარებოდა, რათა ისინი შეუფერხებლად გასულიყო პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სადაც ჩვენ ყველა პოლიტიკური ჯგუფებისა და ფრაქციების მხრიდან უდიდესი მხარდაჭერა გვქონდა.

ზურაბ ჟვანიას, ისევე როგორც ედუარდ შევარდნაძეს, საპატიო დიპლომები გადაეცათ ასოციაციის წევრების თანდასწრებით დიაბეტიან ბავშთა ცენტრში სტუმრობის დროს.

მოგვიანებით ასოციაციის საპატიო წევრები და ოქროს მედლის ლაურეატები გახდნენ კომპანია „ნოვო ნორდისკის" ვიცე-პრეზიდენტი სერგეი სმირნოვი და ამავე კომპანიის კავკასიის რეგიონის მენეჯერი ვიქტორ ვლასოვი. მათ 2000-2010 წწ. ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს საქართველოს დიაბეტიან მოსახლეობას. მათი მეშვეობით ჩვენმა ქვეყანამ მრავალი მილიონი აშშ დოლარის ღირებულების უფასო ინსულინი მიიღო, ხოლო ასოციაციამ სარებილიტაციო ცენტრის მშენებლობის დროს ფინანსური მხარდაჭერა. ამ წლებში კომპანია „ნოვო ნორდისკის" მხარდაჭერით ფუნქციონირებდა ექიმთა გადამზადების სერთიფიცირებული სასწავლო ცენტრი, ხოლო ასოციაციის ექიმები და სპეციალისტები ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობდნენ თითქმის ყველა საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებში.

შემდეგ წლებში ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით ასოციაციის ოქროს მედლით დაჯილდოვდნენ ენდოკრინოლოგები პროფესორი რამაზ ყურაშვილი და ლამზირა (ლეილა) კომშიაშვილი, ასევე საქართველოს შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრები ამირან გამყრელიძე და ალექსანდრე კვიტაშვილი. ამ უკანასკნელის მხარდაჭერით საგრძნობლად გაიზარდა დიაბეტიან ბავშთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება, რამაც მოგვცა საშუალება საგრძნობლად გაგვეზარდა ჩვენი ბავშვების საანალიზო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის დამსახურება, რაც დიაბეტიანი ბავშვებისა და მოსახ-ლეობის წინაშე აქვს ასოციაციის საპატიო წევრსა და ოქროს მედლის ლაურეატს, საქარ-თველოს პარლამენტის წევრს მიხეილ მაჭავარიანს. მან საქართველოს პარლამენტში საკუთარი სურვილით თავისთავზე აიღო პასუხისმგებლობა და 2004-2012 წწ. გააგრძელა ასოციაციის პრეზიდენტის მიერ დაწყებული დიაბეტის ლობირება. მიხეილ მაჭავარიანი ასოციაციასთან ერთად მუდმივად აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტსა და ჯანდაცვის სამინისტროში, როგორც სახელმწიფო პროგრამების განხილვაში, ასევე დიაბეტიან ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობასა და კეთილმოწყობაში. დეპუტატ მ. მაჭავარიანის დახმარებით საქართველოს პარლამენტმა მიიღო ჩვენს მიერ ინიცირებული მრავალი საკანონმდებლო წინადადება და მათ კანონების სახე მისცა.

ასოციაციამ 2014 წლის 14 ნოემბერს, თავის საპატიო წევრად აირჩია და ოქროს მედლით დააჯილდოვა საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, რომელმაც მხარი დაუჭირა ჩვენ საკანონმდებლო წინადადებას საქველმოქმედო სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის რიგი შეღავათების დაწესების შესახებ. აღნიშნული ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში სპეციალური პუნქტების სახით.

13. ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობები

International Diabetes Federation

ასოციაცია 1993 წლიდან აქტიურად არის ჩაბმული დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციისა (IDF) და ევროპის დიაბეტის ასოციაციის (EASD) მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. ჩვენი ექიმებისა და მკვლევარების გასვლას საერთაშორისო ასპარეზზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ჩვენ მსოფლიოს გავაცანით საქართველოს მიღწევები დიაბეტიანი ბავშვების მკურალობისა და მათი მოვლის კუთხით. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ჩვენმა სამეცნიერო მოხსენებებმა სპეციალისტების დიდი ყურადღება დაიმსახურეს და ეს შეფასებები რიგ შემთხვევებში აისახა კონგრესებისა და კონფერენციების სარეზოლუციო ნაწილში. ასოციაცია შემდგომშიც აქტიურად გააგრძელებს თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას, რაც პირდაპირ უკავშირდება დიაბეტიანი პაციენტებისათვის მაღალკვალიფიციური დახმარების გაწევას.

გარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და კონგრესებში მონაწილეობისა, ასოციაციის დაარსების დღიდან, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დიაბეტის ასოციაციებსა და ფედერაციებთან. ეს თანამშრომლობა მოიცავს ერთმანეთში როგორც გამოცდილების გაზიარებას, ასევე სხვადასხვა ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას.

ჩვენი პირველი საერთაშორისო ერთობლივი ღონისძიება ჩატარდა ამერიკელებთან ერთად. ეს გახლდათ დიაბეტური ბანაკი, რომელიც მოეწყო აშშ-ში, მისურის შტატის ქ. კოლუმბიაში და მასში მონაწილეობა მიიღო ოცამდე ქართველმა დიბეტიანმა ბავშვმა და მოზარდმა. ეს პროექტი შემდგომ წლებშიც წარმატებით გაგრძელდა და დიაბეტიან ბავშთა დაცვის ასოციაცია და ამერიკული ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ექტ-ჯორჯია“ ყოველწლიურად ატარებდა საზაფხულო დიაბეტურ ბანაკს ბავშვებისა და მოზარდებისთვის ბაკურიანში, კემპინგ „მწვანე ველში“, ვიდრე არ მოხდა სახელმწიფოს მიერ მისი გასხვისება , რასაც შედეგად მოყვა ამ უნიკალური სარეკრიაციო ოაზისის მთლიანი განადგურება.

ერთ-ერთი პირველი უცხოურ დიაბეტურ ორგანიზაცია ვისთანაც ჩვენ დავამყარეთ 1993 წელს კავშირი, იყო საფრანგეთის ქ. ნანტის დიაბეტის რეგიონული ასოციაცია. მოგვიანებით ჩვენ ოფიციალურად მიგვიწვია საფრანგეთის დიაბეტის ასოციაციამ პარიზში, სადაც გაფორმდა მრავალწლიანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ჩვენ ორგანიზაციებს შორის.

1998 წელს ასოციაციის მოწვევით საქართველში ჩამოვიდა დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ქ-ნი მარია დე ალვა. მან მოინახულა ჩვენი მშენებარე ცენტრი, გაეცნო ჩვენ მუშაობას და უმაღლესი შეფასება მისცა მას. IDF -ის პრეზიდენტი შეხვდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზ.ჟვანიას და სხვა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს, აგრეთვე დიაბეტური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ასეთივე მეგობრული თანამშრომლობა გვაკავშირებს ესპანეთის, იტალიის, ეგვიპტის, დანიის, აშშ, დიდი ბრიტანეთის, ავსტრიის, საბერძნეთის, შვეიცის, გერმანიის, ინდოეთის, ჩეხეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ჰოლანდიის, ბულგარეთის, ისრაელის, არაბთა გაერთიანებულ საემიროების, ლატვიის, ლიტვის, უკრაინის, ბელორუსის, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის და სხვა ქვეყნების დიაბეტის ასოციაციებთან.

მარია დე ალვა და გიორგი 1998 წელი

ამ ქვეყნებიდან ჩვენ ცენტრში ხშირად ჩამოდიოდნენ დელეგაციები და საპატიო სტუმრები, როგორც გაცნობითი ხასიათის ვიზიტებით, ასევე ჩვენს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (სასწავლო-სამეცნიერო სემინარები, სიმპოზიუმები, კონფერენციები და სხვ.) მონაწილეობის მისაღებად. სწორედ ამ და სხვა ქვეყნების მხარდაჭერით, საქართველოს დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია, გახდა დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის (IDF) წევრი. წევრობას კი წინ უძღოდა 2015 წლის სექტემბერში ჩვენი ასოციაციისათვის ფედერაციის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, რასაც მოჰყვა შემდგომში 2015 წლის 30 ნოემბერს, ქ. ვანკუვერში (კანადა) გამართულ გენერალური ასამბლეის სხდომაზე ფედერაციის 233 -ე სრულუფლებიან წევრად ჩვენი მიღება - საარჩევნო ხმის უფლებით.

გარდა ზემოთხსენებული ქვეყნების დელეგაციების თანადგომისა, ცალკე აღნიშვნის ღირსია დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის (IDF) პრეზიდენტის, პროფესორ შაუკატ სადიკოტის და ამავე ორგანიზაციის ევროპის რეგიონის (IDF EUROPA) თავმჯდომარის, პროფესორ სეხნაზ კარადენიზის გვერდზე დგომა. მათ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე სპეციალურად მოინახულეს დიაბეტიან ბავშთა ცენტრი და ყურადღებით გაეცვნენ ჩვენი მუშაობის წვრილმან დეტალებსაც კი.

საქართველოს დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის IDF -ის წევრად მიღებით, მოხდა მსოფლიო დიაბეტური საზოგადოების მიერ ჩვენი ოცდახუთწლიანი მუშაობის უმაღლესი შეფასება. მანამდე ფედერაციაში არ მომხდარა ერთი ქვეყნიდან მეორე ორგანიზაციის გაწევრიანება და ამით შეიქმნა პირველი პრეცენდენტი IDF-ის შემდგომი გაფართოებისა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დიაბეტთან ბრძოლის საქმეში.

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტიც , რომ ჩვენ ვართ პირველი ბავშვთა დიაბეტური ორგანიზაცია ვინც IDF-ში გაწევრიანდა მისი არსებობის თითქმის საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

SOCIEDAD ESPAÑOLA
DE DIABETES
Bajo Oficina 1
CLINICA DENTAL

CLINICA DENTAL
Baccara

Associazione Italiana
Diabetici



GEORGIA
Diabetic Children's Protection
Association
DChPA

International Diabetes Federation
166 Chauséee de La Hulpe
B-1170 Brussels, Belgium
Telephone +32-2-5385511
Telefax +32-2-5385114
www.idf.org | VAT BE433.674.528

Sir Michael Hirst
President

Diabetic Children's Protection Association
Prof. Amirkhanashvili

October 1, 2015

Dear Mr Amirkhanashvili

IDF Provisional Membership

It is my pleasure to inform you that the Diabetic Children's Protection Association was accepted as Provisional Member of the International Diabetes Federation (IDF) at the IDF Board Meeting of September 12-13, 2015. On behalf of the IDF Board, I would like to thank you for joining our growing Federation of 231 Member organizations.

Our network of Members provides an authoritative global voice. We work to ensure that the needs of all people affected by diabetes are met so that each can live their lives as unhindered by the disease as possible.

Your admission as a Full Member will be decided at the next General Assembly to take place in Vancouver on November 30, prior to the IDF World Diabetes Congress. As a Provisional Member, you will be entitled to send one observer to the General Assembly. The observer has voice but does not have voting rights.

The membership fee of a Provisional Member is half the fee of a Full Member. You will receive in the coming days the invoice from the Executive Office to be settled within 30 days.

I encourage you to become involved in the work of the IDF and help us achieve our mission to promote diabetes care, prevention and a cure worldwide. We are always open to your feedback and encourage you to keep us updated on your work. I also encourage you to remain in close contact with IDF EUR Regional Office.

I look forward to meeting you in Vancouver

With Kind Regards

Sir Michael Hirst
President, International Diabetes Federation

IDF | Promoting diabetes care, prevention and a cure worldwide

International Diabetes Federation
166 Chauséee de La Hulpe
B-1170 Brussels, Belgium
Telephone +32-2-5385511
Telefax +32-2-5385114
www.idf.org | VAT BE433.674.528

Dr Shaukat Sadikot
President

shaukat.sadikot@idf.org

Diabetic Children's Protection Association
Prof. Koba Amirkhanashvili
Kavraradze Street 27
0186 Tbilisi
Georgia

7 January 2016

Dear Prof. Amirkhanashvili

IDF Membership

It is my pleasure to inform you that the Diabetic Children's Protection Association was accepted as a Full Member of the International Diabetes Federation (IDF) at our General Assembly Meeting on November 30, 2015 in Vancouver. On behalf of the IDF Board, I would like to thank you for joining our growing Federation of 233 member organizations.

I encourage you to become involved in the work of the IDF and help us achieve our mission to promote diabetes care, prevention and a cure worldwide. We are always open to your feedback and encourage you to keep us updated on your work. I also encourage you to remain in close contact with IDF EUR Regional Office.

Once again, welcome to the International Diabetes Federation. I look forward to hearing your ideas and perspectives.

With best regards

Dr Shaukat Sadikot
President

IDF | Promoting diabetes care, prevention and a cure worldwide

14. ბოლო თქმის მაგიერ

კობა და გიორგი. 2016 წელი

ძვირფასო მეგობრებო,

ჩვენ შევეცადეთ ზემოთ წარმოდგენილ მასალაში მოკლედ მოგვეთხრო ასოციაციის მიღწევები მისი დაარსებიდან დღემდე. ამას გარდა, როდესაც ვლაპარაკობთ ასოციაციის ისტორიაზე, არ შეიძლება არ ვახსენოთ ის უმთავრესი ფაქტორები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ჩვენ წარმატებებში.

მათგან პირველი და უმთავრესი გახლდათ ასოციაციის დაარსების მიზეზი, რაც ნაკარნახევი იყო 1990 წლის მაისში ჩემი 3 წლის გიორგის დიაბეტით. ამ მოვლენამ ჩემში გააღვიძა განუსაზღვრელი სიდიდის შინაგანი ძალა და ემოცია, მომცა სიკეთისათვის ბრძოლის უდიდესი მოტივაცია. ოცდახუთი წლის წინ ჩემთვის დაიწყო სრულიად განსხვავებული ხანა, რაც უკავშირდებოდა ჩემი შვილისა და მასთან ერთად სხვა დიაბეტიანი ბავშვებისა და მთლიანად დიაბეტიანი მოსახლეობის გადარჩენისთვის ბრძოლას.

მეორე ფაქტორი იყო იმ კეთილი ხალხის გვერდზე დგომა, ვინც სხვადასხვა დროს გამოგვიწო და დახმარების ხელი და ჩვენთან ერთად პრაქტიკულად ათასობით ბავშვსა და მოზარდს შეუნარჩუნა ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

ყველა ბავშვისა და მშობლის სახელით ამ კეთილშობილ ადამიანებს უდიდესი მადლობა გაწეული ქველმოქმედებისთვის!

როდესაც დიაბეტიანი ბავშვებისა და მოზრდილების დახმარებაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით ცალკე უნდა გამოიყოს დანიური კომპანია „ნოვო ნორდისკი", რომელმაც იმ მძიმე წლებში როდესაც სახელმწიფოს არ გააჩნდა ფინანსური სახსრები შეესყიდა დიაბეტიანი მოსახლეობისთვის ინსულინი, გაგვიწია სასიცოცხლო მნიშვნელობის დახმარება და რამდენიმე წლის განმავლობაში, ასოციაციის თხოვნითა და შუამავლობით, საქართველოს უფასოდ მოაწოდა მრავალი მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ინსულინი.

ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს მეოთხე და მეხუთე მოწვევის პარლამენტი (1995-1999 წწ., 1999-2004 წწ.), რომელმაც მხარი დაუჭირა ჩემი ინიციატივით წარდგენილ ყველა საკანონმდებლო ინიციატივას, რაც აისახა შესაბამის კანონებში სპეციალური მუხლების შეტანით. ამით საქართველოს პარლამენტმა უნიკალური საკანონმდებლო ბაზა შექმნა დიაბეტიანი მოსახლეობისთვის, რაც მოგვიანებით წარმატებით იქნა გაზიარებული სხვა ქვეყნების პარლამენტების მიერ. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პოლიტიკური გუნდის საპარლამენტო საქმიანობამ უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყანაში შაქრიანი დიაბეტის პრობლემების მოგვარების საქმეში. ჩვენი ლობირებით საქართველოს დიაბეტიანი მოსახლეობა მრავალი წელია შეუფერხებლად იღებს უმაღლესი ხარისხის ინსულინს. წარსულს ჩაბარდა ის დრო როდესაც დიაბეტიან ბავშვებს არ იღებდნენ სკოლებში ან სკოლამდელ დაწესებულებებში. პრობლემებს უქმნიდნენ აბიტურიენტებს გამოცდების ჩაბარების დროს. დღეს ჩვენი საზოგადოება უფრო განათლებული და შესაბამისად უფრო ტოლერანტულია დიაბეტიანების მიმართ, ვიდრე ეს იყო ათი, თხუთმეტი და ოცი წლის წინ. განვლილმა ოცდახუთმა წელმა დაგვანახა, რომ ჩვენ ჩვენ მივდივართ სწორი გზით. ეს არის ის გზა, რომელიც ჩვენ ბავშვებს სრულიად ჯანმრთელებს მიიყვანს მათ საბოლოო განკურნებამდე. მანამდე კი რაც შეიძლება ბევრი უნდა ვისწავლოთ დიაბეტის შესახებ, გავუფრთხილდეთ როგორც საკუთარ, ასევე ახლობლების ჯანმრთელობას და ვიცხოვროთ ცხოვრების ჯანსაღი წესით. გვახსოვდეს, დიაბეტი, თუ მას კარგად მოვუვლით, არ არის დაავადება და ის ცხოვრების წესია!

და ბოლოს, ჩვენ იმედს გამოვთქვავთ, რომ დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია, რომელიც თანატოლია დამოუკიდებელი ახალი საქართველოსი, რომელიც თავისი მიღწევების გამო 2015 წელს ვანკუვერში ერთხმად მიიღეს დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის ნამდვილ წევრად, შემდგომშიც ასევე წარმატებით გააგრძელებს თავის საქველმოქმედო საქმიანობას და ამით ხელს შეუწყობს ასოციაციაში გაწევრიანებულ ათასობით ბავშვისა და მოზარდის როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ აღზრდას. ასოციაცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ჩვენმა ბაშვებმა და მოზარდებმა, როგორც ჩვენი საზოგადოების სრულფასოვანმა წევრებმა, თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ XXI საუკუნის თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში.



კობა ამირხანაშვილი

ასოციაციის პრეზიდენტი,
პროფესორი